

694

1933

B.VI



საქართველოს მუზეუმის შრომები VI
TRAVAUX DU MUSÉE DE GÉORGIE VI

გ. ნორაძე

პალეოლითის ძეგლის
დავისხვალება

DER PALAOLITHIKER IN DER HOHLE
DEWISS-CHWRELI

Von
Georg Nioradze



თბილისი TIPLIS
1933

პაპუა-ნიუ გინეის
რესპუბლიკის

N 457



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



საქართველოს მუზეუმის შრომები VI
TRAVAUX DU MUSÉE DE GÉORGIE

ბ. ნიორაძე

8516

~~ჩ.ი. 14~~

პალეოლითის ალავიანი ღვთისმშობლები

DER PALAOLITHIKER IN DER HOHLE
DEWISS-CHWRELI

Von
Georg Nioradze



64 სურათი, 8 ტაბულა და 1 გეგმა

თბილისი TIFLIS
1 9 3 3



დავით აღმაშენებლის

საქართველოს სსრ-ის



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, ა. წიგნების განყოფილება, № 3-3

წიგნების № 157 მთავარი № 92 ტომი № 1

შიხისანი

	გვერდი
1. წინისიტვიანი	1
2. შესავალი	4
3. ვეფხვებისათვის	10
4. ვეფხვთვლიანებისათვის	19
5. სავაჭროთვლიანებისათვის	23
a) გამოტყავლის ფაფა (<i>Ursus spelaeus</i>)	24
b) განახალი ხაზი (<i>Bos sp.</i>)	27
c) მრედელოვანი ძებნი (<i>Rangifer sp.</i>)	28
d) ძებნი (<i>Cervus elaphus</i>)	30
e) ზევი (<i>Capreolus sp.</i>)	31
f) ვაჩველი თხა (<i>Capra sp.</i>)	31
g) ჭიჭიკა (<i>Rupicapra tragus</i>)	32
h) ვაჩველი ღორი (<i>Sus scrofa ferus</i>)	32
i) მგელი (<i>Canis lupus L.</i>)	34
j) „მრედელოვანი თაგვი“ (<i>Mesocricetus koenigi</i>)	34
6. კერის ჭე და თხილიანი	35
7. კერის ჭეის დამგზავება	38
8. კერის ჭეის და თხილიანის ნამტყრუვები	42
9. ნუკლეუსი (Nucleus)	46
10. სიჭხისი (Sichel)	48
11. შეტვლისძირის ტიპის მჭილეწვეტი (Bohrerspitze vom Typus Chatel- perron)	55
12. სიჭხეი (Kratzer)	56
13. თაჭიწვეტილი ღამკლები (Bohrer)	67
14. გრავეტის ტიპის დანები (Gravettespitzen)	68
15. შერკილითები (Zwergklingen)	70
16. შეღსატეი (percuteur)	71
17. სისრული ჭეები (pierres de jet)	72
18. კომპრესორი (compresseur)	72

19. ძუღის იარაღი (Knochenwerkzeuge)	78
20. ანთროპოლოგიისათვის	75
21. ქრონოლოგიისათვის	77
22. Der Paläolithiker in der Höhle Dewiss-Chwrel	84
23. ლიტერატურა (Literatur)	91
24. სახელთა და საგნთა საბუნების (Namen-und Sachregister)	101
25. შექმნილი ბეჭეფითი შეკვამები	110

მარცხენა ხელი

სურათების, ტახტების და გეგმის

ა) სურათები

	გვერდი
1. დევისბურგელის მადამოების გეოლოგიური რუკა	17
2. დევისბურგელის მადამოების რუკა	20
3. სარქანაია, არასწორი ფორმის ნამტვრევები (Iames & dos rabattu)	44
4. ნუკლეუსები (Nuclei)	46
5—7. ცალწახნაია, მართული საჭრისები (Stichel)	60
8—9. სწორი და ირბი ცალწახნაია, გარდიგარდში თავდაამტვრეული საჭრისები (Stichel)	51
10. ხიწიანი, ცალწახნაია, გარდიგარდში თავდაამტვრეული საჭრისი (Stichel)	51
11—12. სწორი და ირბი, გარდიგარდში თავგეტუშანი საჭრისები (Stichel)	52
13. ირბი საჭრისი, გარშეზი რეტუშანი (Kantensichel)	52
14. ხიწიანი საჭრისი, გარდიგარდში თავგეტუშანი (Ecksichel)	52
15—16. საჭრისები ცალწახნაია, თავიბორტუშანი (Kantensichel)	52
17. საჭრისი თავიბორტუშანი (Kantensichel)	53
18. ორწახნაია „შუალი“ საჭრისი (Mittelsichel)	54
19. რედისებული ფორმის საჭრისი (Bogensichel)	54
20. დუბლირებული, ხიწიანი, თავდაამტვრეული საჭრისი (Doppelsichel)	55
21. დუბლირებული, ხიწიანი საჭრისი, ორივე თავზე რეტუშანი (Doppelstichel)	55
22. ორთავიანი, ორწახნაია „შუალი“ საჭრისი (Doppelmittelsichel)	56
23. „შებრეული ფორმის“ საჭრისი	56
24. საჭრისი და საფშეკი—ერთად შევრთებული (Stichelkratzer)	57
25. შატელპერონის ტიპის მშვილდმწვეტი (Bogenspitze vom Typus Chatelperron)	57
26—27. საფშეკი (Kratzer)	59
28. იპალური ფორმის საფშეკი (Klingenkratzer)	59



29. ამოღარული საფხეკი („Eingeschnürte“ Klinge)	59
30. ამოღარული საფხეკი („Ausgerichte“ Klinge)	60
31. მწიულღის ფორმის შავეარო საფხეკი (Bogenförmiger Kratzer)	60
32. ნაკარტებოი საფხეკი (Kielkratzer)	61
33. მაღალი საფხეკი (Hochkratzer)	61
34. ნუკლეუს-საფხეკეი (Nucleuskratzer)	62
35. ნუკლეუს-საფხეკის ანაბტებეკი (Absplass vom Nucleuskratzer)	63
36—37. საფხეკი (Kratzer)	63
38—42. სხედასხეკი ფორმის საფხეკეი (Kratzer von verschiedener Form)	64
43. შაკარტანებოი საფხეკი (Schreibkratzer)	65
44. საფხეკი (Kratzer)	66
45. ღამღალი, იახეე თახეე რეტეშოიანი (Klinge mit retrusierten Spitzen)	66
46—47. საფხეკეი (Kratzer)	67
48. შრეკალი ფორმის საფხეკი (Rundkratzer)	67
49. დუბლირებულ საფხეკი (Doppelkratzer)	68
51. ქესაფეკი (Bohrer)	69
52—53. ქესაფეკეი (Bohrer)	69
54. გრავეტის ტიპის დანეი (Gravettespitze)	70
55. „Atypische“ Kerbspitze (pointe à cran aorignacienne)	70
56—58. „Atypische“ Kerbspitze-ს შავეარო ანაბტეკეი	71
59. Gravettespitze-ს შავეარო დანეეი	72
60. „შეისწეკი“ („Spießspitze“)	72
61. მიკროლითეი (Mikrolithen)	72
62. კომპრესოი (compresseur)	73
63. ძელის იახალი (Knochenwerkzeuge)	73
64. ადამიანის ქვეი ეხი (Unterkiefer)	75

ბ) ტახეეე

გვერ.

პირეკაპირ

I. დევობურული და შიი შავეარეი. ისრისწეკი უბეეეე დევობურულის შესავალს. Die Höhle Dewiss-Chwrell und ihre Umgebung. Eine Pfeilspitze zeigt den Eingang zur Höhle	18—19
II. დევობურულის შესავალი. Eingang in die Höhle Dewiss-Chwrell	22—23
III. დევობურული შავეარეი. Das Innere der Dewiss-Chwrellhöhle	22—23
IV. გამოკეაბულის დათეის ღოეი და ეხის ნაწილი. Eckzahn und ein Teil des Kiefers des Höhlenbären	24—25
V. გამოკეაბულის დათეის ღოეი და ძელეი. Eckzahn und Knochen des Höhlenbären	24—25

- VI. *ჰომინოიდების კბენები*. Die Zähne des Urtiers 28—29
- VII. *ჰომინოიდების კბენები და მათ ნაწილი კბენები*. Die Knochen
und ein Teil des Kiefers mit den Zähnen des Wildschweines 32—33
- VIII. 1. *ქვის „კბენი“*. „Amboss“. 2. *სულაქები*. Schlagstein . . . 72—73

ს) *გეგმა*

დევიის/შვედის გეგმა (Der Plan der Dewiss-Schwefelhöhle) გვერდი

შემოკლებანი

(ABKÜRZUNGEN)

Z/Ethn — Zeitschrift für Ethnologie.

Abhdn — Abhandlungen.

ГАНМК — Государственная Академия История Материальной Культуры.

РАННОН — Российская Ассоциация Научно-Исследовательских Институ-
тов Общественных Наук.



წინასიტყვაობა

ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს პალეოლითის შესახებ დღემდის არც ერთი შრომა არ მოგვებოვება, თუმცა პალეოლითური ნაშთებით ეს მხარეები უკვე საკმაოდ ცნობილი არიან.

ქვის ხანის ნიშნებს ამიერკავკასიაში პირველად მიაკვლია მორგანმა, რომელმაც Bughuti-dagh-ის და Hadji-Bagher-ის (სამხეთ-შია) მდებარეობაში პალეოლითური და ნეოლითური ნაშთები აღმოაჩინა (J. de Morgan, Les stations préhistoriques de l'Alagheuz (Arménie Russe); Rev. d'Anthropol. 19 (1909), გვ. 189).

1914 წ. გერმანელმა მეცნიერმა რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ მდ. წყალწითელას ნაპირზე მდებარე მოწამეთის გამოქვაბულში, რომელსაც მათ უწოდეს Rudolf-Virchow-Höhle, უამრავი პალეოლითური ნაშთი აღმოაჩინეს¹. ამ მასალის დიდი ნაწილი გადაგზავნილ იქნა საზღვაოკაზახეთ და ომის დროს სადღაც დაიკარგა, ხოლო მცირე ნაწილი კი მოხვდა პეტროგრადში და დღეს ეს კოლექცია საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმშია გამოფენილი (ლენინგრადში)².

რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ, რომლებსაც უნდა მივაწეროთ პალეოლითის პირველი აღმოჩენა საქართველოში, სხვა გამოქვაბულებიც გათხარეს დასავლეთ საქართველოში და იქაც ისოვეს ქვის ხანის დიდიძალი იარაღები, მებრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობათ ზუსტად არ იციოდ არც ამ გამოქვაბულების მდებარეობა და არც

¹ მოწამეთის გამოქვაბული მომდევნოდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში როგორც „Mocameti“ ანუ „Mocamern“ (M. Ebert, Südrussland im Altertum, Bonn u. Leipzig 1921, S. 27. О е б о р т а, Г. Ч е л о в е к д р а в н е р о н а м е - н о о з n a, И е м м у р я т 1924, გვ. 470).

² გვხვდებით მისი შრომაში „Archäologisches aus dem Kaukasus“ (Archäologischer Anzeiger, 1923, 1/1, S. 41) შეყვანილია აღნიშნული, ვთბილ. რ. შმიდტის Sammlungen-ი დაეული იყოს ქეთისას სასტრუქო-სეფონოგრაფიო მუზეუმში.



მათში აღმოჩენილი მასალები, თუმცა ეს გამოქვაბულებიც ცნობილი არიან ლიტერატურაში, როგორც Uvarow-und Barataschwill-Grotte, და ერთერთი ავტორის მიერ ბუნდოვანად შედგენილ რუკაზე-დაც არიან აღნიშნული (M. Ebert, Südrussland im Altertum, გვ. 27, სურ. 3)¹.

✱ პალეოლითის მეორე აღმოჩენა საქართველოში პოლონელ არქეოლოგ სტ. კრუკოვსკის გუთონის, რომელმაც 1916 წ. გამოქვაბულ გვარჯილას კლდეში (სოფ. რვანი, შირაქის რაიონი) და მის მახლობლად მდებარე სხვა გამოქვაბულებში აიკვია პალეოლითური იარაღები. ეს მასალა დღეს დაცულია საქართველოს მუზეუმში და ელის გამოქვეყნებას.

✱ პალეოლითის მესამე აღმოჩენა საქართველოში მე მხედა წილად 1926 წ. დევისბერელის გამოქვაბულში², სადაც ხუთი წლის განმავლობაში სისტემატურ გათხრებს ეაწარმოებდა. ამ გათხრების შესახებ სპეციალური მოხსენება წაეყვანებე საერთაშორისო კონგრესზე ლენინგრადში (1932 წ.) და თვით დევისბერელის კოლექციები ამავე კონგრესისათვის დროებით იქმნა გამოაფენილი საქეშარო სამეცნიერო აკადემიის გეოლოგიურ მუზეუმში. დღეს კი დევისბერელის კოლექციები შალაიანადაა დაცული საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში, სადაც ყველას შეუძლია მათი ნახვა³.

1) შედ. R. Schmidt: *Korrespondenzbl. d. Deutsch. Ges. f. Anthropol.* 1919, 26 (მოგვიან ვიხსენებოქათ I, c. გვ. 44).

2) ამ გამოქვაბულს ხალხი უწოდებს დევისბერელს.

3) ტუხ ხანის ადამიანის ნაშთების შესახებ ა. ბერნაეცკის აქვს დანერგული დიდი სტატია „კავკაზში“ (Некоторые остатки человека и первобыных животных на Кавказе) და აღნიშნავს, რომ მის რგანს გამოქვაბულში აღმოაჩინა აგრეთვე ნაშთები და გამოქვაბულის დათვების ძეგლები. („Kavkaz“, 1884, № 255; ეს სტატია ცალკე წიგნაკადაც არი დასტეფილი). J. de Morgan-ი, რომელიც თავის შრომაში: *Mission scientifique au Caucase. Paris 1889, ტ. I, გვ. 29*, იხსენიებს რგანის გამოქვაბულს და მასში აღმოჩენილს ტუხ ხანის ადამიანის ნაშთებს, ჩანს ა. ბერნაეცკის წერაღვს ემყარებოქა.

ა. ბერნაეცკიმ მის მიერ აღმოჩენილი მასალა, როგორც ამას მოხვე წერაღვიდან ვტყობოქლომით, გადაუღვსენა R. Virchow-ის ზურღანში, ხოლო ჩამოღვსენივ ძეგლი და დათვის ქვები ენა კავკასიის საისტორიო და საანტეოლოგიო საზოგადოების თავგუქომაჩეს.

ტუხ ხანის ადამიანის არსებობა კავკასიაში და კერძოვ საქართველოში ერთ დროს უარყოფილო იყო. ვერ კიდევ ანტეოლოგია ერთიღანზე ტეფილში (1881 წ.) R. Virchow-ი გამოიტყაქდა გაკეთრებას, რომ კავკასიაში ვერ კიდევ არ არი აღმოჩენილი ზირგაობ და ტუხ ხანის ტიპური იარაღებით და ვტყობოქა ამ აზრს ადგა, რომ კავკასია ხოლო ხანებში იყო დასახლებული. A. Bernad-

ახ. თეოდორი ს. ნოზრადე

ნადირობა არ უნდა ყოფილიყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. საერ თო საწარმოო ძალთა ზრდასთან დაკავშირებით, პარველეოფილ საზოგადოებაში, სახელდობრ ახალ პალეოლითში, მოხდა უკვე დიფერენციაცია, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ ასაკობრივი და შემდეგ — სქესობრივი.

ერთი სიტყვით, ახალ პალეოლითში ზეენსაქმე გვაქვს „ასაკობრივ-სქესობრივ“ კომუნასთან, თუ შევხედვით მათში მივიღებთ ახალი პალეოლოგის იარაღების მილიან კომპლექსს, დავინახავთ, რომ ასინი ერთ მილიანობას წარმოადგენენ, თუმცა სხვადასხვა საფეხურები დეტალების მიხედვით ერთმეორასგან განირჩევიან. ამიტომ დიდ შეუთომად არ ჩაითვლება, თუ ზემო პალეოლოგის კულტურას ერთსა და იმავე საზოგადოებრივ სტრუქტურას, სახელდობრ, ასაკობრივ-სქესობრივ კომუნას მივაკლთვნებთ. თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ზეენ ამ ასაკობრივ-სქესობრივი კომუნის სტრუქტურა, ამას ეიტყვიით შემდეგში, როდესაც დევისბერგის იარაღებსა და ფაუნას განვიხილავთ.



გეოლოგიისათვის

სამთა ინჟინერ ა. სოროკინის და გეოლოგ ს. სიმონოვი-ის აღწერილობით¹⁾ და აგრეთვე ინჟინერ-გეოლოგ პ. გამყრეთ-ლიძის ახალი შრომით²⁾ დევისხეხელის მიდამოებში გეოლოგიურად კარგად არის შესწავლილი, და ამიტომ ძნელი არ არის ამ მიდამოე-ბის გეოლოგიურად დახასიათება. დევისხეხელი მდებარეობს ხან-დების კლდეებში. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სენომანის კვარც-გლავონიტის კრისტალური კირქვებით, რომელთა ქვეშა ფენები წითელი ფერისაა, რის გამოც ის მკაფიოდ გამოიყოფა, როგორც მის ქვეშ მდებარე აღმის გლავონიტის კვიშაქებისაგან, ისე—მის თავზე მამდენო მოყვითალო-მოთეთრო ფერის კვარც-გლავონი-ტის კრისტალური კირქვებისგან (გეოლოგიური რუკა, სურ. 1). უფრო მეტ წილად სენომანი მოთეთრო ფერის კვარც-გლავონი-ტის კრისტალური კირქვებით არის წარმოდგენილი.

ხანდების კლდეები სადგურ ხარაგოულთან ახლოს, დასავლეთით, ვარდიკარდში კვეთს მდინარე მტკამულას. უკანასკნელმა ხანდების კლდეებში გააკეთა ვიწრო და ღრმა ხევი ციკაბო კედლებით, რომ-ლებს სიმაღლე ალავ-ალავ 90 m აღწევს.

ხანდების მასივი ერთი მხრით, სახელდობრ, სადგურ ხარაგო-ულს მიმართულებით, მკორე კუბით დაქანებულია, მეორე მხრით კი, სოფელ ლაშესკენ—ჩამოხეწილ ფერდიანია.


გამოქანული დევისხეხელი მდებარეობს ხანდების კლდეების კვე-ლანზე უფრო ვიწრო ხევიან ახლოს, იმ ადგილას, საიდანაც იწყება სოფ. ლაშეს ტაფობი. აქ, ამ ვიწრო ხეობის მახლობლად, მდ. ჩხერი-მელას კალაპოტში და მის მარჯვენა ნაპირზე, სენომანის კვარც-გლა-

¹⁾ Материалы для геологии Кавказа. Шорашанский уезд. Долина реки Чхарамели. Тифлис 1876.

²⁾ Геологическое описание части долины реки Дзурган и Чхарамели. Предварительный отчет. Гეოლოგიური ინსტიტუტის შრომა, 1933, ტ. I, ნაკ. II.



9158



სურ. 1. ევრისტეტელის მდებარეობის გეოლოგიური რუკა.

a—მანოვირტყელების შრეები, b—ქოლის ქვიშა, c—დასილი პირბინტი, d—სენი, e—ტორნი, f—სენიანი, g—აღბი, h—მთაყარის წყვა, i—აბი, j—კვდა წყარო, k—სირფორტული წყვა (ბაილი). შვი წარტოლი აღნიშნული ევრისტეტელი. მასტაბი 1:42000. (რუკა შედგენა ჯ. ვამეჩეტელიძემ).



უკონიტიანი კრისტალური კირქვების ქვემოთ, მოხამს ალბის მწვანე ქვიშა-ქვების წყება, სადაც შედიან, როგორც თიხიანი და მერგელური ქვიშაქვები, ისე თიხიანი და კირქვიანი მერგელები. ეს მწვანე ქვიშაქვების წყება შემდეგ მდინარის მარცხენა ნაპირზედაც გამოდის, ხოლო ღამეს ტაფობში კი უმოთხრესად და თვალსაჩინოდაა განვითარებული.

ამგვარადაც, რომ ალბის მწვანე ქვიშაქვა, დროთა ვითარების გამო, უფრო იდეალად იფარებოდა და ირეცებოდა, ვიდრე მის ზემოთ მდებარე სენომანის კვარც-გლავუკონიტიანი კრისტალური კირქვები. ამიტომ უკანასკნელნი თანდათან კარგად დანაყრდენ წერტილს და ლოდების სახით ცვივდნენ ან ცოცვებოდნენ მდინარის მიმართულენით. ამგვარი მოვლენა ღამეს ტაფობში მეტად თვალსაჩინოა. მდინარე ჩერიმელას ნაპირები და კალაპოტი მოფენილია კირქვების ლოდებით. მეტად შესანიშნავია ის უსარმაზარი ლიდი, რომელიც ჩამოცოცვებულია დევისხერელის ახლოს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულენით და რომელზედაც დღეს უკვე მოსახლის კარმიდამოა გამართული.

თეთი დევისხერელის ფერდობიც ჩამოცოცვული ლოდებით უნდა იყოს წარმოდგენილი; ის დღეს თითქმის მთლიანად არის შექმნარებით და პატარა ზომის ხეებით დაფარული.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დევისხერელის გამოქვაბული მდებარეობს სენომანის კვარც-გლავუკონიტიანი კრისტალურ კირქვებში, რომელთა ზემო ფენები თანდათანობით გადადიან ტურონის მერგელებრივ თხელშრეებთან კირქვებში, ხოლო უფრო ზემოთ კი—მოფარდისფრო და წითელფრის კირქვებში, რომლებშიაც ბლომად არის წითელფრის კაეის ქვის კონკრეციები და ლინზემი. აქედან ცხადია, რომ კაეის ქვები, რომლებიც ბლომად გვხვდება დევისხერელის მადამოებში, ტურონის კირქვებთან არის გამოტანილი და ჩამოფარული. ამ წითელფრის კაეის ქვებს უმეტეს ნაწილად ხმარობდა იარაღისათვის დევისხერელში მოიხინდრე ადამიანი, თუმცა იყენებდა აგრეთვე ნაყრისფერ კაეის ქვებსაც და ობსიდიანს, როგორც ამას შემდეგში დავინახავთ.

ნაყრისფერ კაეის ქვები ზენ არ გვხვდება ტურონის კირქვებში; ის ბლომად მოპოვება სენომანის კირქვებში, რომლებიც თვალსაჩინოდ არიან წარმოდგენილი დევისხერელის მახლობლად მდებარე ადგილებში, მაგალითად, მდ. ვახველას და ვოკიშურას კალაპოტში და მის ფერდობებზე მეტად ბევრი გვხვდება ზენ ნაყრისფერი კაეის ლინზემი და კონკრეციები.

დევისხერელის ზემოდან მდებარე სენომანის და ტურონის კირ-



ძეგლები და მისი ზედაპირი, მონიშნული უკანაშია ძეგლისთვის შესა-
ვალა. Die Höhle Dewiss-Chweli und ihre Umgebung. Eine Pfeilspitze
zeigt den Eingang zur Höhle.

ტყებს უთანხმოდ თავზე აძევს ვერტიწოდებული ქროლის ქვიშები ოლი-
 გოცენის ასაკისა, ხოლო ამ უკანასკნელების ზემოთ კი წარმოადგე-
 ნლია მოცუენი სპანოიდონტელებიანი პირახონტიათ.

გომომრავლობისისათვის

დევისებრელის გამოქვაბული მდებარეობს ხანდების კლდეების
 სენომანის ქანში (სურ. 1 და ტაბ. I), მდინარე მერიმელან მარჯვენა
 ნაპირზე, ჩვენის გზის მახლობლად, მაქან ლაშესა და ხადგურ ხარა-
 გოულს შუა (სურ. 2), ამ უკანასკნელიდან 3,5 km დაცილებით.

დევისებრელის თავზე მდებარე კირტყების, ქვიშების და სხვა
 ფენების ზემოთ გაშენებულია სოფელი ქროლი.

† დევისებრელი მდებარეობის 340 m სიმაღლეზე ზღვის დონიდან
 და 80 m — მდინარე მერიმელას ზემო პირიდან.


აღმოსავლეთის მხარე დევისებრელს საზღვრავს ვიწრო ხევი, სა-
 დაც ვიწრო კალაპოტი ვაუჯეთებია ანკარა მდინარეს (ტაბ. I), რომ-
 ელსაც რუხრუხა დილეს ემართან. აქვე აღმოსავლეთ-დასავლეთის მი-
 მართულებით ამართულია ბუმბურაზის საღა კლდეები, რომლებიც სამ-
 ხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უფრო დაბალი ზღვებიან და სადაც მდინარე
 მერიმელას თავისი კალაპოტი ვაუჯეთებია და მწვანე ქვიშაქვების
 ზედაპირზე, თითქმის იფრასა და ცარკის შრეების საზღვარზე, დიდის
 ხმარით ლაშეს ტაფომისკენ მიემართება.

გამოქვაბულიდან ჩრდილო დასავლეთის მიმართულებით ისევ მო-
 ჩანს მაღალი კლდეები, ჩამომტყრეული და ხმოცოცებული ლოდებით;
 მოჩანს აგრეთვე მაღალი გამოლილი სერები და უფრო შორს კი — ჩი-
 ნისყვარის და ქვაზვინების შოები და გორაკები.

ლაშეს ტაფოში დევისებრელიდან მოლიანად არ ჩანა, რადგან
 ამის ხელს უშლის დიდი ლოდები.

დევისებრელიდან, თითქმის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართუ-
 ლებით, ხანდების კლდეები თანდათან უფრო მაღალი და უფრო ჩა-
 მოხეწილფერდინი ხდება, ხოლო ალაგ-ალაგ კი სრულიად მიუღვო-
 მელია: ამ შოლოდ შევარდნები ბუდობენ.

გამოქვაბულიდან ცოტა მოშორებთ, დაბლობისაკენ, მოთვითრო
 კირტყების ფენებიდან, გადმოიქვას დიდი წყარო, რომელიც ვიწრო
 ხოლად დევისებრელის ფერდობზე მიხეველ-მიხეველი გზით აღმო-
 სავლეთის მხარე მდებარე ვიწრო ხევისკენ მიიმართება და რუხრუხა
 დილეს ეროფის. დევისებრელის ვარშემო მდებარე მაღაობები ბევრის
 და გორაკების სახით არის წარმოდგენილი და უნდა ვთქვაქროთ, რომ



სურ. 2. ქვემოთხედიანი რელიეფის რუკა სამეგრელო-ზემო სვანეთის ქვემოთხედიანი ადგილებებისათვის. მასშტაბი 1:50000.



დვეისებრელის ადამიანის დროს დიდი ტყეებით იყო დაფარული და მრავალი ნადირით დასახლებული. ყოველს შემთხვევაში ამას მოწმობს, როგორც ამას შემდეგში დაეინახებოდ, თვით დვეისებრელში აღმოჩენილი ფურცა, მაგრამ ადამიანი ხომ მუდამ გბრძვის ბუნებას, ამსახურებს მას და შეგნებულად ახდენს მასზე გაყვლას. დვეისებრელის მიდამოების ბუნება დღეს მეტად თვალსაჩინოდ უნდა იყოს შეცვლილი. ხანძრების კლდეების ერთი ნაწილი ადამიანის შრომით დაშტურებულია და სადამშენებლო მასალად გამოყენებული, დიდი ტყეება მოსპობილია და მათ ადგილზე გაშენებულია კულტურული მცენარეები. ტყის ნადირმაც თვისი ბინადრობა იცვალა და სხვა ადგილებზე გადასახლდა. დღეს დვეისებრელის მიდამოების ბუნება სულ სხვა არის. სულ სხვა იყო იმ დროს, როდესაც დვეისებრელის ადამიანი ცხოვრობდა.

† დვეისებრელის შესავალი მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისკენ და მისი სხივები უბედ ვეინება მის სათავეს (გვეშა და ტაბ. II).

გამოქვაბული მშრალია, სანესტე თითქმის არ ეტყობა. სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს შიგნით ვერ შევამჩნევთ, ხოლო გათხრების დროს ენახეთ რამოდენიმე ცალი 5 — 10 cm სიგრძის სტალაქტიტები კედელში ნაწილობრივ დაფარულია სტალაქტიტური კანით და აგრეთვე მისივე ზოლებით, რამაც „სამაბი“ მისცა ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს ზოლები (ტაბ. III). „დვეის“ ბრტყელების ნაშთები დაჩისდაცის მიწეზეა, ვითომც დევმა გამოქვაბული თავის მაგარი კლანჭებით გააფეთა და თავისივე საცხოვრებელ ბინად გადააქცია.

† გამოქვაბულის სიგრძე მეტად დიდი უნდა იყოს; მისი მთლიანად გაიშვია შეუძლებელია, ეინიდან მას აქვს ერთ ადგილას ვიწრო ყელი (იხ. გვეშა). სადაც ადამიანს არ ძალუეს მისში გამბრომა და ამიტომ მოუხარებელია გამოქვაბულის მთლიანი გვეშის შედგენა. † თქვენ რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუსმინოთ, გაეოცნებათ, გამოქვაბული სოფელ ლორეშაში გადის და იქ შეორე სათავე აქვსო, † გაეოცნებათ აგრეთვე, თუ როგორ ერამა მონადირემ მელას შწევარია მიუტოვა, მელა დვეისებრელში შეტერია, შწევარიც თან შეტყვა და, დაბოლოს, ირივე გატერა გამოქვაბულის შიორე სათავეში.

† დვეისებრელის სიგრძე, სადამდინსაც შეუძლია ადამიანს მივიდეს, 40 m აღწევს; განი სათავეში 5 m და სიმაღლეს 4 m-ია (იხ. გვეშა). გამოქვაბულს არ აქვს, როგორც ეს გვეშაზე ნათლად ჩანს, არც სწორი მიმართულება, არც თანამართ სიგანე და არც სიმაღლე †

† არქეოლოგიურმა გათხრებმა დაგვიარწმუნეს, რომ გამოქვაბულის



იატაკზე მიწის სხვადასხვა ფენები მიუყვებოდნენ, სულ ძირა ფენი, რომელიც გამოქვაბულის იატაკს უშუალოდ ზედა ვედა, ახლო მიწის შავი ფენი წარმოადგენდა და არავითარი ნაშთი, არც იარაღის და არც ცხოველის, არ მოამოწებოდა. ამ ფენის სისქე საშუალოდ 20 cm უნდა ვიანგარიშოთ. ამ ფენის ზემოთ იყო მეორე ფენი, უფრო სქელი (45 cm); ეს იყო სწორედ კულტურული ფენი, რომელშიდაც უამრავი ძელის ნამტვრევები, კბილები, ქვის იარაღი, ქვის ნამტვრევები, ალაგ-ალაგ ნაკარი და ნახშირის ნიშნები იყო. ამ მეორე ფენის ზემოთ მიყვებოდა მესამე ფენი, 25 cm სისქის, სადაც ალაგ-ალაგ გვხვდებოდა ცხოველების ძვლები. სულ უკანასკნელი იყო მეოთხე ფენი, მოშავო ფერის 30 cm სისქის, სადაც უკვე გვხვდებოდა ახალი დროის საქონლისა და ფრინველების ძვლები, რომლებიც მტაცებელი ფრინველებისა და მხეცების მიერ იყო გამოქვაბულში შეტანილი (იხ. ვეგმა). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გათხრების დროს გამოქვაბულში ვნახეთ სულ ახალ დამადებული ბაეშვის ლინწი. ეს ლინწი იყო ჩაფლული მესამე ფენში, პატარა ორმოში, იმ ორმოში, რომელიც — როგორც ეს ნათლად ჩანდა — ახალი წარმოშობის იყო. ნათლად ჩანდა, რომ ბაეშვის ლინწი ახალ დროს ეკუთვნოდა და დევისხერცელის ადამიანთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ბაეშვის ძვლები კარგად იყო შენახული, არავითარი სიძველის ნიშანი მათ არ ჰქონდა და ყოველივე ექვს ვაჩვენებ, რომ ეს ბაეშვი მალულად იყო დამარბული სულ ახალ დროში.

ჩა ნაშთები მოგვცა ჩვენ არქეოლოგიურმა გათხრებმა დევისხერცელის გამოქვაბულში? დაეწყოთ პალეოზოოლოგიადან, გადავიდეთ ქვისა და ძელის იარაღზე, რომელსაც ხშირობდა დევისხერცელის ადამიანი, ხოლო შემდეგ კი მოვიხსენიოთ ანუ დევისხერცელის ადამიანის ქვემო უბა.




Удмуртский бассейн. Вход в шахту Девито-Чевил.

Удмуртский бассейн. Вход в шахту Девито-Чевил.



НАЦИОНАЛЬНАЯ
БИБЛИОТЕКА
РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ
НАУК



Восточная Арктика и Северная Земля

III

2222222222222222. Das Innere der Dwina-Cherchikha-Höhle.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

დემოკრატიული რესპუბლიკის წევრ მოსახლეობის კვირები და დღეები, პატარა ნაწილებად დაშლილი, ძელები, რომლებიც დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებს უნდა მიეწოდებოდნენ. იქ, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებს უნდა მიეწოდებოდნენ ხელშეწყობის დამატებითი ტერიტორიები გამოიყენებოდა. ძელების დამატებითი ტერიტორიების გამოყენებად ახლაც ფართოდ არის გაერაცლებული პრინციპული ხალხთა შორის და ზოგ ჯერჯერობდა ახლაც იქვე იმდენად შერჩენილი. ამ მიზნით დამატებითი ძელები ადგილად ვაძირკვეთ და არც დემოკრატიულში აღმოჩენილი ძელები მადებს რაიმე ექვს, რომ ისინი დემოკრატიული რესპუბლიკის დამატებითი ტერიტორიები იყვნენ. ამ მიზნით დამატებითი ტერიტორიები (მაგალითად, დარტების ადგილას ამოღებული და გასწორებულ დარტებს). ზოგიერთი ძელებს ეტყობათ აგრეთვე საქართველოს მიერ მიყენებული ნიშნები, როდესაც ცხოველს ტყავს ამოიღებენ, ან რედესაც მას ანაწილებდნენ. ზოგს მათგანს ეტყობათ აგრეთვე ცხოველს დამატებითი ტერიტორიები. ძელებს საერთოდ მოყვანილი ფერა დაქრავს, თუ მათ ხელახლა ნაძირს სამომავლოდ და, როდესაც მათ დემოკრატიული რესპუბლიკის წევრები, ისინი ენას ხარბად ეყრებიან.

ბევრი ნაშტრევი ძელების გამოყენება ყოველად შეუძლებელი შეიქნა, ენაიდან მათ აღარ აქვთ ამისათვის საკმარისი ნიშნები შერჩენილი (მაგალითად ენაიში, საერთო მოყვანილობა და სხვა). ამიტომ ძელების რაოდენობის მიხედვით ძელები იმას იქნა, თუ რა ცხოველებზე უფრო ემარჯვებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებს. გამოყენებული ძელების მიხედვით, ზოგ შეეძლოდა დამატებითი რესპუბლიკის წევრებს დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებს დაეწყო გამოყენების დათვით, რომელიც დღეს უკვე გადაწყვეტილია.

*) ნაშტრევი ძელების და ზოგიერთი საცხოველს გამოყენება მათგანს გამოიყენებოდა პრინციპული რესპუბლიკის წევრებს და, როდესაც მათ მოსკოვის პრინციპული რესპუბლიკის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებს ხელახლა ნაძირს სამომავლოდ და, როდესაც მათ დემოკრატიული რესპუბლიკის წევრები, ისინი ენას ხარბად ეყრებიან.

გამოკვამულის დათვი (*Ursus spelaeus*). ამ დათვის ნაშთები წარმოდგენილია შემდეგი კბილებითა და ძვლებით:

ერთი ღოჯი (*d. canini*) ზემო მარცხენა ების ნაწილით (ტაბ. IV). ამ კბილის გაზომვა ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან ის საკბილო მუდგნი-*alveola*-შია ჩამჯდარი და თუ მას ების ნაწილები არ შემოვაცილებთ, ისე მისი გაზომვა შეუძლებელია. ამ კბილს გვირგვინის ძირთან სიგანე აქვს 32 mm. თუ ჩვენ საქართველოს მუზეუმში დაცულ *Ursus arctos meridionalis* *Mid d.*-ის და *Ursus arctos caucasiensis* *Swir.*-ის კბილებს ავიღებთ და შევადარებთ ჩვენ მიერ ნაპოვნ კბილს, დაინახავთ, რომ პირველს (*U. arctos merid.*) აქვს გვირგვინის ძირთან სიგანე 19 mm, ხოლო მეორეს (*U. arctos cauc.*)—21 mm. ისე რომ დღეისბერელში აღმოჩენილი კბილი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ზემოთ აღნიშნული რეცენტული დათვების კბილები¹. სამი ღოჯი (*d. canini*); ერთი მათგანის (ტაბ. V, სურ. 1) სიგრძე, ქორდაზე აღებულა, 118 mm-ია, ხოლო მისი ფესვის (*radix*) სიგანე — 26 mm. მეორე ღოჯის სიგრძე, ესეც ქორდაზე აღებულია, უფროს 81 mm, სიგანე კი (ფესვის) — 19 mm. შესამე ღოჯს აქვს სიგრძე 87 mm, ხოლო ფესვის ვანი — 16,3 mm². ორი საძირის კბილი (*d. molares*) (*M*³); ერთს მათგანს გვირგვინის (*corona dentis*) სიგრძე 38 mm აქვს და სიგანე—18 mm; სიგანე-სიგრძის ინდექსი კი — 47,4. ფესვის სიმაღლე — 17 mm. მეორე კბილს აქვს გვირგვინის სიგრძე 33 mm, თუმცა მას პატარა ნაწილი აკლია. თუ ჩვენ ამ კბილებს შევადარებთ კავკასიის რეცენტულ დათვების კბილებს, დავინახავთ, რომ დღეისბერელის დათვის კბილები მეტად დიდი ზომისაა. ამ ორი კბილს საღებო ზედაპირს მოცვანილობა ოვალურია და მათზე განვითარებულ ზღაფეს ბორცვებს ეტყობა, რომ გამოკვამულის დათვი უფრო მეტწილად მკამელი იყო, ვიდრე ებოელების³. ერთი საძირის კბილი (*M*₁), რომლის გვირგვინის სიგრძე—23,5 mm-ია, ხოლო სიგანე—15 mm; სიგანე-სიგრძის ინდექსი — 64; ფესვის სიგრძე — 14,5 mm. ერთი წინასაძირის კბილი (*d. praemolares*); მისი სიგრძე — 14 mm, სიგანე — 12 mm და ფესვის სიგრძე — 14 mm. კბილები სხვადასხვა წნოვანების ინდივიდებს ეკუთვნებან. ერთი საქრელი კბილი (*d. incisivi*) (*I*²); მისი სი-

¹) საქართველოს მუზეუმში დაცული ზემოთ ნახსენები დათვის კბილები გვიწინაქრეველ დასრულებულსა და კიდევაც ნაწილ შესულ ინდივიდებს.

²) შედარე რკანში აღმოჩენილი გამოკვამულის დათვის კბილი — *D. N. Anuschin, Ueber die Reste des Höhlenbären und des Menschen aus Transkaukasien: Bull. Soc. Imp. Nat., Moscou 1887, № 2, pag. 374.*

³) თვის დროზე გოდარშია გამოთქვა აზრი, რომ დათვი ყველა ზონე-მკამელ მცენებთან უფრო ნაკლებ ბორცვმანაა.



ცეცხეზელიან ხეველის ნიჩბი და ესის ნიჩბი.
Eckzahn und ein Teil des Kiefers des Höhlenbären, $\frac{1}{4}$.



გამოქვეყნების დასრულის ვიდეო და ფაქტები. Eckzahn und Knochen des
Höhlenbären. 1/1.

გრძე ქორდაზე იღებული — 41,2 mm, სიგანე — 11 mm. სამი ქვემო საძირის კბილი; ერთ შათვანს (M_2) აქვს შერჩენილი ქვემო ყნის ნაწილი. ფორმით მომრგვალოა და ზომითაც დიდი. დაზიანებულია. მეორეს სიგრძე—24 mm, სიგანე—16 mm; სიგანე-სიგრძის ინდექსი — 66,6. ფესვის სიმაღლე — 19 mm. ფორმით მოგრძო ობტუსოხედს წაავსებს და გვირგვინის გვერდები უსწორმასწორო აქვს. მესამეს ზომა უახლოვდება მეორე კბილის ზომას. მეორე და მესამე კბილი უნდა იყოს M_2 ; სამივე კბილი მეტად გადაღვნილია და ეკუთვნის ძალიან დამერებულს ინდივიდს. დათვის კბილებიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი პატარა ზომის საჭრელი კბილი (1₂) რომელიც უნდა ეკუთვნოდეს *U. arctos* L¹. თათის ძელებიდან შილიანიდან არის შერჩენილი metacarpale V sim. (ტაბ. V, სურ. 2), metatarsale I sim (ტაბ. V, სურ. 3), os pisiforme (ტაბ. V, სურ. 7), scaphoid-semilunar (ტაბ. V, სურ. 8), თათების ფალანგები (ტაბ. V, სურ. 4, 5 და 6), რომელთაგან უკვე დაზიანებული metatarsale-ს და metacarpale-ს ძელები, radius sim. ნატეხი, მალის ნაწილი და გვერდის ნეკის ნატეხი. Metacarpale-ს სიგრძე—87 mm, ზემო თავის სიგანე—27 mm; და ბოლო—24,2 mm. Metatarsale-ს სიგრძე—67 mm, ზემო თავის სიგრძე—24 mm და ბოლო—18 mm. Os pisiforme-ს სიგრძე—45 mm. ამ ძელების ზომა და შთაბეჭებითი მოყვანილობა გვიძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ დევისტერელის დათვის ქონდა დიდი თათები.

ზემოაღნიშნული კბილები და ძელები, გარდა ერთი საჭრელი კბილისა, ეპვეარეშეა, ეკუთვნიან გამოქვაბულის დათვის (*U. spelaeus*).

პალეონტოლოგი ვ. ა. გრომოვა, რომელსაც ხელი ქონდა სამი კბილი, თათის ძელები და აგრეთვე metacarpale-მის და metatarsale-მის დაზიანებული ძელები, დასკვნის, რომ „დათვი დევისტერელიდან არის: 1) ან *U. spelaeus minor*, ან 2) დიდი ფორმა *U. arctos*, ან 3) რომელიც გარდამავალი ფორმა გამოქვაბულ დათვისა და რეცენტულ დათვის შუა². მაგრამ ვ. ა. გრომოვას გვირგვინი აზრია ზენითის სრულიად ნათელი გახდა დევისტერულზე

1) *U. arctos*-ი ეარება იეს პალეოლოგიკ. ეს დათვი უკანასკნელს ყნებულეში ზოლის პერიოდში იმეხანე ფართოდ იყო ვაგერულებული, რომ გამოქვაბულის დათვის კლდეც სკაბობივან რიგებით. H. Obermaier, Der Mensch der Vorzeit. S. 106.

2) Громова, Об остатках антропоидных животных в Закарпатье, *Известия Зоол. Музея Акад. Наук СССР*, Ленинград 1929, т. XXX, вып. 3, стр. 438.

აღმოჩენილი ნაშთებით. დღეს ზვენათვის სრულიად გარკვეულია, რომ დევისსტრელში აღმოჩენილი დათვის კბილები, გარდა ერთი კბილისა, უდავოდ ეკუთნიან *U. spelaeus*-ს.

გამოქვაბულის დათვი დღეს კარგათ არის ცნობილი პალეონოლოგიაში, განსაკუთრებით ფრანსკელი ასალი მონოგრაფიით, რომელიც წარმოადგენს კოლექტიურად დამუშავებულ შრომას და ეტება დრაკონების გამოქვაბულს (*Die Drachenhöhle*)¹.

გამოქვაბულის დათვის ნაშთები არქეოლოგიამ იცის პალეონოლოგის მიერ პერიოდში². ამ დათვის ნაშთები შეღის ეპოქაში იმდენად ბევრია აღმოჩენილი, რომ ედუარდ ლარტემ (*Ed. Lartet*) შეღის ეპოქას უწოდა „დიდი დათვის ეპოქა“. დათვის წინაპრები საერთოდ ცნობილია მესამეულის შუა ეპოქიდან, როგორც ამას ამტკიცებს სტრატეგრაფიული პალეონტოლოგიის მამამთავარი ა. დ. ორბინი³. საქართველოში გამოქვაბულის დათვის ნაშთები ცნობილია სოფ. რგანოდან და მოწამეთის მიდამოდან⁴. თუ როდის მოსსვენ კავკასიაში გამოქვაბულის დათვები, ამის მახლეები ვერ კიდევ არ ვგეტს, ხოლო ევროპაში ეს სრულებით მოსსვენ გამოჩვენარების მერათე პერიოდში. გამოქვაბულის დათვს ახსიათებს შეტად ვანეთარებული გლახელა, მოკლე ცხვირი და ძალზე გამოხატული შებლის ბორკვები, რამაც საბამი მოსცა სახელოვან გ. კი უეიეს (*Cuvier*) გამოქვაბულის დათვისთვის ეწოდებია: „დათვი ამობურცული შებლით“. ტვინის სიდიდით გამოქვაბულის დათვის ტვინი არ განსხვავდებოდა რვერტული დათვების ტვინის სიდიდისგან, თუმცა უფრო პრიმიტიული ნიშნება მქონდა.

¹ O. Abel und G.-Kyrle, Die Drachenhöhle bei Mixnitz, bearbeitet von O. Abel, O. Antonius, W. Armbricht u. an., Spelaeologische Monographien, Bd. VII, SS. I-XXIX, 1-963, Taf. 300, Verlag Oesterr. Staatsdruckerei, Wien 1931.

² თუმცა მისი ნაშთები ცნობილია პალეონტოლოგიაში უფრო ივრე, მაგალითად, მისი გამოჩვენარების პერიოდში ევრეთოდებულ რისის ნაშთი.

³ Alcide d'Orbigny, Cours de paléontologie et géologie stratigraphiques (1832), ტ. II, 33-798.

⁴ D. Anutschin, Über die Reste des Höhlenbären aus Transkaukasien: *Bull. Soc. Imp. Nat.*, Moscou 1887.

⁵ 1833, *Шиханско-девическай пещера. Изв. Бронзаяа и Ефрона*, т. XXIII. С. Петербурге 1898, 33-364; Über die Reste des Höhlenbären und des Menschen aus Transkaukasien, Moscou 1887. В. И. Громова, 33-495, Дм. Anouchine, sur les restes de l'Ursus spelaeus trouvés en Russie (*Comptes rendus du XI Congrès intern. péthist. à Moscou*). T. I. (1892), p. 244.

გამოქცაბულის დათვების მიხედვით დღეს უკვე მიჩნეულია, რომ *U. spelaeus*-ს ბევრი ავადმყოფობა ჰქონდა, მაგალითად: პერიოსტიტი (*periostitis ossificans*), მიეზიტი (*myesitis ossificans*), ოსტეო-მიელიტი, სახსრების დაზიანება (*arthritis deformans, a ulceroosa sicca, a. purulenta*), სპონდილიტი, ანკილოზი, ჩახიტი, ზერხვების კაფოზი და სხვა, ამ დაავადებათა მიზეზია ცუდი საზრდო, ნესტიანი მინა, ნაკლები მოძრაობა და სხვა.

გამოქცაბულის დათვს ცვალებოდა წვეულებრივად ერთი ან ორი ბელი, აშვითად—სამი. შემჩნეულია ბელების ხშირი სიკვდილი, რაც შედეგია ერთი მხრით დევენერაციის და მეორეს მხრით ცუდი პირობების (ნესტიანი მწელი საფვამეზი, ცუდი საზრდო და სხვა).

განათხაზი ხარი—*Bos* sp. (*Bison priscaus* ა. *B. primigenius*).

Bos sp. კბილები აღმოჩენილია ექვსი ცალი: მათ შორის ორი ზემო საძირის (ტაბ. VI, სურ. 1 და 3), ორი ქვემო საძირის (ტაბ. VI, სურ. 4 და 5), ერთი ქვემო წინა საძირის (ტაბ. VI, სურ. 2) და ერთი ც საცბრა. ზემო საძირის კბილის (M^2) (ტაბ. VI, სურ. 3) სიგრძე—59 mm, ვიარგვინის სიმაღლე—29 mm, სიგანე—30 mm და სიმახო—27 mm. მეორე ზემო საძირის კბილი (ტაბ. VI, სურ. 1) ზომით უფრო ნაკლებია პირველზე და თანაც დაზიანებულია (აგლია ფრევი). ქვემო საძირის კბილის (M_3 sin, ტაბ. VI, სურ. 4) სიმაღლე—95 mm, სიგანე—50 mm, სიმახო—19 mm; მეორე ქვემო საძირის კბილი (M^1) (ტაბ. VI, სურ. 5) ძალიან დაზიანებულია და აღარ გავსომყო. რაც შეეხება წინა საძირის კბილს (ტაბ. VI, სურ. 2), მისი ზომები შემდეგია: სიგრძე—29 mm, ვიარგვინის სიმაღლე—11 mm, სიგანე—18 mm და სიმახო—12 mm.

ჩვენი მასალის მიხედვით შეუძლებელი ხდება ზუსტად სახის აღდგენა, რადგან ამისთვის საჭიროა ობიექტი, ზუბლის მოყვანილობა, ზოგიერთი მღვლები და მთავარი ძვლები, თუმც ზოგიერთი პალეონტოლოგი უფრო შესაძლოდ თვლის ამ კბილების მიკეთივნებს *Bos primigenius*-ისთვის.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ხარის (*Bos taurus*) წინა-პრად *Bos primigenius* *B o*/-ი ითვლება; *Bos primigenius*-ის ნაშთები დღეს ბლომად მოეპოვება პალეონთოლოგიას. მოიპოვება აგრეთვე სურათები (პერბერშტეინის) და აღწერილობაც (კუზნაი, ჩუმბლერი, ვლადიმირ მონომახი და სხვა). ეს ხარი მეტად ღირითად იყო გაერქვლებული სხვადასხვა ადგილებში. ასურულ მარტლიელებზე გამოხატული ნადირობა ხარზე გვაფიქრებინებს, რომ ეს ხარი იყო *Bos primigenius*-ი. ანაუს გათხრების დროს (ამზაბადის აბლოს) აღმოჩენ-

წლითა ხარების ბეჭი ძელები, რომლებს საშუალებით აღდგენად იქმნა *Bos namadiensis*-ის სახე, ეს უკანასკნელი კი არის *Bos primigenius*-ის ერთერთი ქვესახე აზიაში ფართოდ გავრცელებული, რომლისაგანაც წარმოიშვა დიდრქიანი ხარები.

Bos primigenius-ი კარგად არის ცნობილი ყინულოვანი პერიოდთან და მუსტიეს ეპოქაში თითქმის უმთავრეს საწარმოო ცხოველად იყო გადაქცეული. ამ ხარმა მოაღწია ბოლო დრომდის და შეადგენდა ნადირობისათვის ერთერთ საინტერესო ცხოველს. ისე რომ ქვის, ბრინჯაოს და რკინის ეპოქების განთხარ მასალებში იშვიათი არ არის *B. primigenius*-ის ნაშთები ძელებს და კბილებს სახით. დღეს *B. primigenius*-ი ამ სახით, როგორც ის იყო უბედურესი დროიდან ახალ საუკუნეებამდის, უკვე აღარსად არის, ის—გადაშენებულია, ხოლო მისი სახე ჩვენ შეგვიძლია გამოვინათოთ მოწინაურებულ ხარებს შორის. ცხადია, ხარს, როგორც საწარმოო იარაღს, დიდი მნიშვნელობა ქონდა მეურნეობაში. ე. შარქსი აღნიშნავს, რომ „კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში დამუშავებულ ქვასა, ხესა, ძელებსა და ნივთსათან ერთად შრომის საშუალებებს მთავარ როლს ასრულებს მოწინაურებული, ამრიგად, შრომის მეოხებით ვარდაქმნილი, დამორჩილებული ცხოველი“¹. ადამიანის შრომის და კონტროლის მეოხებით დღეს ჩვენ გვაქვს *Bos primigenius*-იდან ვარდაქმნილი სხვადასხვა ხარების ვარიეტეტები. მაგალითად, ე. ქვლერი ჯერომის რეცენტულ ხარებს ხუთ მთავარ ვარიეტეტად ყოფს და უმეველი აბიისათვის კიდევ სხვა ვარიეტეტები იქნებოან, როდესაც ეს მხარე საქმოდ იქნება შესწავლილი.


Rangifer sp. ამ ცხოველის ნაშთი შოლოდ ერთი ძელის სახით არის წარმოდგენილი. ეს ძეალი არის რუდიმენტარული (მეორე ან მესამე) *metacarpale*-ს ქვემო ნაწილი და უფრო უნდა ეკუთვნოდეს *Rangifer tarandus*-ს (ჩრდილოეთის ირემს), ირემების წინამხრები ცნობილია შესამეველის შუა პერიაოდში², ხოლო პლეოცენის ბოლოში, როგორც ეს ა. გოდრიმ აღნიშნა, ჩრდილოეთის ირემები კარგად იყვნენ განვითარებული და სხვადასხვა სახეს წარმოადგენდნენ. ვარდა უზარმაზარი ირემისა (*Cervus megaceros*), ირემების უველი სახეებმა

¹ მაგალითად, 300 წელი იქნება დახლოებით მის შემდეგ. იაკ სილინგისი საბოლოოდ მოსბენ *B. primigenius*-ის უკანასკნელი ვახუმბარება.

² ე. შარქსი, კასტალი, სახელწიფო გამოცემლობა, 1930. ტ. I. გვ. 140.

³ A. D. Orbnigny, Cours de paléontologie et géologie stratigraphiques, 1852. ტ. II, გვ. 798. Gaudry, Enchaînements du monde animal, 1878, გვ. 8.

ბ. ნიორიძე, მღვრილის ადამიანი ფეოსტრუქციონი



განვითარებული ნაჩის კბილები. Die Zähne des Urstiers. 1/1.



მოაღწიეს დღევანდლამდის, მაგალითად, *Cervus elaphus*-მა, *Cervus capreolus*-მა და სხვამ.

Rangifer tarandus-ის ნაშთები განსაკუთრებით ბევრი გვხვდება ახალ პალეოლითში, და ვდუარ დ ლ ა რ ტ ე მ გურჯანისს გროტში (ზემო ვარონა, საფრანგეთი) უამრავი ძვალი ამოიღო 14 თვის განმავლობაში. ეს ძვლები კეთილადენ 3000-ზე მეტს ანდიქდს. აგრეთვე სრდილოეთის არმების ბევრი ძვლები აღმოაჩინეს რ ი უ ტ ი - მ ა ი ე რ შ ა და სხვ. სრდილოეთის ირმის ძვლების ასეთმა სიმრავლემ საბუთა მისცა ელ. პ ი ე ტ ს პალეოლოგის ეპოქის უკანასკნელი სტა- დია დაეხსიათებია, როგორც „სრდილოეთის ირმის ეპოქა“. სრდი- ლოეთის ირმის ძვლები იმდენად ურიცხვი გვხვდება ბევს სხვადა- სხვა ადგილას, რომ საშუალება გვაძლევს ადვილად დავასკვნათ, რომ ეს ცხოველი უშთაერეს და უპირველეს ნადირობის ობიექტს წარმო- ადგენდა ზემო პალეოლოგის ადამიანისათვის.

სრდილოეთის ირემი დიდხანს შერბა შუა ევროპის. მაგალითად, ნეოლითის ეპოქაში შუა ევროპაში ბევრა სრდილოეთის ირემი ბინდ- რაობდა. გერმანიაში სრდილოეთის ირემი ცნობილი იყო იულიუს კე- ისრის დროსაც, რასაც მოწმობს თეთი კისრის შენიშვნები „De hel- lo gallic“. მეოთხე უნელოგანი პერიოდის შემდეგ სრდილოეთის ირემები თანდათან გადასახლდნენ სრდილო ქვეყნებისკენ და მათ დღეს შეხვდებით შორადენ 60° და 70° (სრდილ. სივან.). დღეს სრდილოეთის ირემებს შეხვდებით არა მარტო აზიასა და ევროპაში, არამედ ამერი- კაშიაც. სრდილოეთის ირემი ტანად ზემო ირმის (*Cervus elaphus*)- ოდენაა, ხოლო ფეხები უფრო მოკლე და მსხვილი აქვს ვიდრე რეცენტულ *C. elaphus*-ს; ღლიკები დიდა, ფართო და მსხვილი, რაც შეულის მას თოვლი გადაქეკოს და ამრიგად თოვლის ქვეშ, ში- წის ზედა მარზე, სეწული მოძებნოს. *Rangifer tarandus*-ი არის რო- გორც ვარეული, ასე მოშინაურებულაც; ვარეულები ტანად უფრო დიდი არიან, ვიდრე მოშინაურებულები და ცხოვრობენ ჯოგებად.

სრდილო-აზიაში და ევროპაში სამოედებმა და მათმა მუზობლებ- მა უძველესი დროიდან მოშინაურეს სრდილოეთის ირემი და დღეს ამ მათთვის ერთადერთი მოშინაურებული ცხოველია, რასაკვირველია ძაღლის ვარდა. არის შეხედულება, რომ სრდილოეთის ირემი უნდა იყოს მოშინაურებული ორს სხვადასხვა ადგილას, ერთამეორასგან დამოუკიდებლად, მაგალითად, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე და კიმბირის სამხრეთ ნაწილში. მაგრამ, თუ რა დროს მოშინაურა ად- მიაანს ირემი, ამის შესახებაც ორა შეხედულება აჩსებობს მეცნიერე- ბაში. პირველი შეხედულების თანახმად ირემი უნდა იყოს მოშინაუ-

რებული რქოსანი საქონლის მოშინაურების შემდეგ, ხოლო მეორე შეზღუდვება უარყოფს ამ იჩმის და იჩმის მოშინაურების უფრო მეტად ძველ დროს მოიწერს (ჩუდენკოს გამოხრები ალტაიში 1929 წ. *Больш. Сов. Энци. т. 23, стр. 96*).

ჩრდილოეთის ირემთან დაკავშირებით საინტერესოა მოვეთხოთ ს. კრუკოვსკის გახიზრები გვაჩვილას კლდის გამოქვაბულში, სადაც მან აღმოაჩინა *Gulo gulo*-ს ნაშთები. ეს ნაშთები კარგად შეისწავლა პროფ. სმიტნოევი და კიდევაც გამოაქვეყნა¹. დღეს *Gulo gulo* ცხოვრობს შილოდ ევროპისა, აზიისა და ამერიკის ჩრდილო ნაწილებში, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც დღეს ჩრდილოეთის ირემებს ეხედებიან.

იჩმის (*Cervus elaphus*) ნაშთები აღმოჩენილია შემდეგი ძელებით და კბილებით: ქუსლის ძვალი (*calcaneus*), ასტრაგალი (*astragal*), ნავისებური ძვალი (*navicularis*), ასალგაზრდა ცხოველის სხვის ძვლის (*radius*) ზემო ნაწილი, ბარძაყის ძვლის (*femur*) თავები, ტაბულის ბუდე (*fossa acetabuli*), ფალანგები და შეიდი კბილი. ამ კბილებიდან ერთი წინა საძირის კბილი (*P₃dm.*) არაერთი არ განსხვავდება კავკასიის *Cervus elaphus maral* *Ogilby*-ის კბილისაგან.

Cervus elaphus-ის ძელებსა და კბილებს ბევრს პოულობენ პალეოლითში, თვით შელის ეპოქიდან დაწყებული, თუმცა იმდენი რაოდენობით არა, როგორც ჩრდილოეთის იჩმის ძელებს. ეტყობა, რომ იმ ადგილებში, სადაც ჩრდილოეთის ირემი ბინადრობდა, პირველყოფილ ადამიანს *Cervus elaphus*-ზე ნადირობა არ უყვარდა. ნეოლითის დროიდან კი იჩმის უფრო ბევრი ნაშთი ეგვხედება და, ეტყობა, ნეოლითის დროის ადამიანს მასზე ნადირობა უფრო უყვარდა, ენაიდან ირემი მას იძლეოდა არა მარტო გემრიელ ხორცს, არამედ რბილ ტყავს ტანსაცმელისათვის, რქის იარაღის საკეთებლად და სხვა. Н. Обермайер აღნიშნავს, რომ იჩმის რქის წვერს, ჯიშზე დაკეზულს, მიქის საშუალო იარაღადაც კი იყენებდნენ. ქვის ნაჯახს, სატყეს, ზერხს და დანებს იჩმის რქის ტარს უყებდნენ. იჩმის რქისაგან აკეთებდნენ შარბუნებს, სადგისებს და სხვას.

ქვის ხანის იჩმის ნაშთებს ხშირად უყვარდებენ ხოლმე ჩრდილო-ამერიკის *Cervus canadensis* და სამხრეთ-ციმბირის შარალს (*Cervus maral*).² დღეს ირემი (*C. elaphus*) გვხვდება, როგორც კავ-

¹ Проф. Н. Смирнов, О некоторых ископаемых Западной и восточной Азии: *Известия Акад. Госуд. Ученств. Моск. В. 11. Ленин, 1929-34, № 3, первый выпуск, стр. 142.*

² Обермайер, а. с. стр. 102

ქასიაში, ისე ყარაში და ვერძის სხვადასხვა ადგილებში 25⁰-ამდის (სრულ. სივ.)¹ ნ. სმირნოვის აზრით ირემი უძველესი დროიდან ტყის ცხოველი იყო და არა ველების. ყოველ შემთხვევაში ის დაკავშირებული იყო ტყიან ადგილებზე, რასაც უთითებს ირმის თავისებურად ნახტომები ვაკეების დროს და აგრეთვე მისი სიმკვლე².

ამჟამ მივხებხართ Cervidae-ს ოჯახში შემავალი ზეელი (Capreolus sp.), რომლის ნაშთები ზეენ აღმოვაჩინეთ შილოდ ქობის მესამე მალის და რქის ნამტვრევის სახით. ამ ნაშთების მიხედვით შეუძლებელი ხდება გარკვევა, თუ ზეელს რომელ სახეს ეკუთვნის ეს ნაშთები. დღეს ამიერკავკასიაში ცხოვრობს Capreolus capreolus და მას მუზომღად კი, ჩრდილო კავკასიაში — Capreolus pygargus caucasicus Din.; მათ უფრო მეტდრო გამოიღი ადგილები, თუმცა თავის დასაცავად საქაროებებს დიდ ტყეებს, ამიტომ ზოგიერთი ზოოლოგი მათ არ თვლის ნამდვილ ტყის ცხოველად³.

არქეოლოგიურ ლატერატურაში ზეელი ცნობილია ზელის ეპოქიდან და მის განათხარ ნაშთებს სწორად უფარდებენ ციმბირის ზელს (Cervus pygargus)⁴.

გარეული თხა (Capra sp.) დევისებრების პალეონოლოგიურ მასალაში ვერადღებებს იძურობს გარეული თხის შემდეგი კბილები და ძვლები: M¹sin., M¹dext., M², M²sin., M²dext., M₃ sin., M₃ dext., P¹dext., M₄sin., sp. (მარცხენა ქვემო ყბის ნაწილი), J₃sin., ჩლიქების თათების ფალანგები, tibia dext. (ქვემო ნაწილი, ეპიფიზი მალაიანი), tibia sin., metacarpale-ს ანუ metatarsale-ს ნაწილი და იდაყვის ძვლის ნაწილი.

კავკასიაში რეცენტული გარეული თხები ცნობილია ოთხი სახით: a) Capra caucasica Gmel., b) Capra cylindricornis Blinn., c) Capra severtzevi Menz. და d) Capra Dinonki Sat. ძნელი სათქმელია, დევისებრების თხა ამ ზემოთ ნახსენებ თანამედროვე გარეული თხების სახეს ეკუთვნის, თუ წარმოადგენს რომელსავე სხვა, უკვე გადაშენებულ სახეს. პალეონტოლოგ ე. გრომოვის აზრით დევისებრების

¹ C. claphus mural Gmel., რომელიც წარმოადგენს C. claphus-ის შვედს სახეს, უფრო ფართოდ არის გავრცელებული. მაგალითად, დი. ვ. ეკერის აღწერაში მას ოცეუ შეხედვით სარტვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში, Lydekka, R. The deer of all lands, London 1886.

² Проф. Н. Смирнов, О некоторых млекопитающих Западного Закавказья, стр. 145.

³ Проф. Н. Смирнов, о. с. стр. 145.

⁴ О Чермаиер, о. с. стр. 108.



თხა უფრო უნდა ეყუთვიოდეს *Capra cylindricornis Blum.*, ვინაიდან ეს უკანასკნელი სხვა თხებთან შედარებით დიდი ტანისაა და უფრო უნდა ეფარებოდეს დევისბერგელში აღმოჩენილ დიდი ზომის თხის ძელებს. ყოველ შემთხვევაში დევისბერგელის მასალა გვეუბნება, რომ უძველესად გარეულ თხასთან გვაქვს საქმე და არა ცხვართან (*Ovis*).

ჩვენი მოწინააღმდეგე თხის წინაპრად თვლიან *Capra aegagrus Pall.*-ს, *Capra Falconeri*-ს და უკვე გადაშენებულს *Capra prisca Ad.*

Capra aegagrus Pall. დღესაც არის გავრცელებული შუა აზიაში თვით სომხეთის მთებამდის და ცნობილია, როგორც წინაპარი დასავლეთ-აზიური, არაბული, აღმოსავლეთ და დასავლეთ იერიკის და ევროპის მოწინააღმდეგე თხების (*Capra hircus L.*) *Capra Falconeri* ცხოვრობს ჰიმალაის მთებში და ითვლება ასურული და ანკორის თხების წინაპრად. *Capra prisca Ad.* ფართოდ იყო გავრცელებული მეოთხეულში და მის ნაშთებს ხშირად პოულობენ დასავლეთ ევროპაში; საფრანგეთის ზოგიერთ გამოქვაბულებში აღმოჩენილია აგრეთვე ამ თხის სურათებიც, რომლებიც ქვის ხანის ეკუთვნიან.


Capra sp. დაკავშირებით მოვხსენიოთ *Rupicapra tragus Gray*, რომლის ორი ძეალი (*calcaneus, sin.* და *astragalus, dext.*) აღმოჩნდა დევისბერგელში. *Rupicapra tragus Gray*-ს უწოდებენ შიგ თხის (ჭურციკს) და აეუთვნებენ *Antilopinae*-ს ქვეჯატს. მას უფროსი მალაღი თოვლიანი მთები. თუმცა მადლენის ციხის ეპოქაში მისი ნაშთები ჩრდილოეთის ორბის ნაშთებთან ერთად ბლომად მოიპოვება დაბლობად ვაშლილ ადგილებშიაც.

რეცენტული ჭურციკები დღეს საქმოდ მოიპოვებან კავკასიისა და ევროპის მალაღ მთებში¹.

გარეული დობის (*Sus scrofa feras*) ძელები და კბილები შემდეგი არის აღმოჩენილი: *proc. paraoccipitalis sin.*, მარცხენა საფეთქლის ძელის ნამტვრევი, მარცხენა ქვემო ლოჯის ძირი, შარის ძელის (*humerus*) ქვემო ნაწილი (ტაბ., VII, სურ 3), *humerus*-ის ზემო ნაწილი (ახალგაზრდა ცხოველი), სივის ძელის (*radius*) ზემო ნაწილის ნამტვრევი (ეკუთვნის შეტად დიდ ცხოველს) (ტაბ. VII, სურ. 1), დიდი წვივის (*tibia, sin.*) ნამტვრევი ზემო ეპიფიზით (ახალგაზრდა ცხოველი), *tibia*-ს (*sin.*) ნაწილი ქვემო ეპიფიზით, *metacarpale III (sin.)* ორი ცალი, *metacarpale V (dext.)* ზემო ნაწილი, *metatarsale (3 ან 4)* ქვემო ნაწილი, *metatarsale II (sin.)* (ზემო ნაწილს ნამტვრევი), *calcoidium (dext.)*, *hamatum (sin.)*, ნამტვრევები თითის პირველი ფალანგების (ორი ცალი), თითის შესამე ფალანგა, კისრის მეორე მალის

¹) ჭურციკის ნაშთები აღმოჩენილია აგრეთვე ევარჯილის კლდეში. *Прод. С. М. РИОН, о. с. г. 142.*

Բ. Կոմիտաս, խորհրդատու պանանի քանդակիչը



Գտնված քանդակի մասերը և քանդակի համապատասխանը: Die Knochen und ein Teil des Kiefers mit den Zähnen des Wildschweines. 1/2



ნაწილი, მარჯვენა კეცმო უბის ნაწილი საძირის კბილებით M¹⁰ (ტაბ. VII, სურ. 2), უბის ნაწილი საძირის კბილებით და ბევრი სხვა ძელები.

გარეული ღორის ნაშთები ძველი პალეოლითის დროის და-საწყისიდან იცის არქეოლოგიამ. მუსტიეს ეპოქის განსაკუთრებით ბევრა ნაშთია აღმოჩენილი.

მონსონეში აღმოჩენილი ნაშაყებს მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პალეოლითის გარეული ღორი ტანად უფრო დიდი ზომის იყო, ვიდრე თანამედროვე გარეული ღორი, ხოლო ლენტრიხის მიდამოებს გამოქვაბულებში აღმოჩენილი გარეული ღორის ნაშთები, რომლებიც მუსტიეს ეპოქის ეკუთვნის და რომლებიც შმერ-ლინგის მიერ იქნა აღწერილი და შესწავლილი, მოწმობენ იმას, რომ პალეოლითშიაც ყოფილა გარეული ღორის უაში, რომლის სიდიდე რეცტრულ გარეულ ღორზე ბევრად უფრო პატარა იყო¹. ისე რომ გარეული ღორის სიდიდე, როგორც ძველ დროში, ისე ახლაც, ზომის მიხედვით, დიდ ცვალებადობას განიცდიდა. ამიტომ დაუსაბუთებლად მანანია ზოგჯერათი მკვლევარის აზრი, რომლებიც გადა-ქრათ ამბობენ, რომ გარეული ღორი ადამიანის თვალწინ შეტად დამატარებდაო („ониho нннннннн на глнннннннн“)². პატარა და დიდი ზომის არამც თუ მარტო გარეული ღორები გვხვდება ძველ დროში, არამედ—სხვა ცხოველებიც.

გარეული ღორი საერთოდ განსხვავდება მოშინაურებულ ღორისაგან ვრცელი და ვიწრო თავით, შეტად დიდი ეშვებით, მოკლე და ვიწრო ტანით, მსხვილი და მალალი ფეხებით და სხვა. მოშინაურებულ ღორებს წარმოშობილი არიან გარეული ღორებისაგან, მავალითად, ევროპის და ინდოეთის გარეული ღორებისაგან (Sus scrofa ferus და Sus indicus), ეს ნათლად დამტკიცა ნათუსბიუსმა (Natussius)³.

თუ რა დროიდან არის საქართველოში გავრცელებული მოშინაურებულ ღორი, ამას შესაბამე ჯერ კიდევ არ მოგვემოკვება ნამდვილი ცნობები.

ლენინგრადში აღმოჩენილი გარეული ღორის ნაშთების სიმრავლე

1) G. et A. Mortillet, Le Préhistorique, გვ. 392.

2) В. Громова, Об остатках мезонинтандих каменного века на Западном, გვ. 429.

3) ღორი მოშინაურებულ უნდა იყოს ევროპისა და აზიაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად.

გვეუბნება, რომ დეფიხტერელის ადამიანი ხშირად ნადირობდა ხოლმე მათზე.

მგლის (*Canis lupus L*) ძელებიდან ზეენ აღმოვაჩინეთ შოლოდ *astragalus*-ი, რომლის ზომა არაერთი განსხვავდება თანამედროვე მგლის ამავე ძელისგან. საერთოდ, პალეოლოგის მგლის სიდიდე მეტად უახლოვედობდა რეცენტული მგლის სიდიდეს. ამას ადასტურებს მგლის ჩონჩხი ვარკასის მღვიმიდან. პალეოლოგიაში აღმოჩენილი მგლის ნაშთების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაშინდელი ადამიანი ერთდებოდა მგლის ხორცის ქაშის და, თუ მაშინდელი ადამიანი კლავდა მგელს, ეს ხდებოდა შოლოდ იმიტომ, რომ მგელი მისთვის მავნებელი ცხოველი იყო. ამიტომ მგლის ნაშთებს, ცოტას და ისაც გამონაკლისის სახით, პოულობენ ქვის დროის ადამიანის ნაშთისებარ ადგილებში. მაგალითად, ბიზსის მღვიმეში აღვარებული ძვალი იპოვეს სხვადასხვა ცხოველებისა, ხოლო მგლის ძვალი კი იპოვეს როგორც გამონაკლისი. სამაგიეროდ ამავე გამოქვაბულში მეტად ბევრი იპოვეს მგლის ვახერცტილი ლოჯები. ვახერცტილი ლოჯები ბევრი აღმოაჩინეს ლოჯერში, Gorge d'Enfer-ში და სხვაგან. ეს ვარსებობა გვაფიქრებინებს, რომ მგლის ვახერცტილი ლოჯები იხმარებოდა პალეოლოგიაში ან როგორც საშაქელი, ან როგორც მაგიურა მნიშვნელობის საგანი.

დასასტურლ მოვიხსენიოთ „ჩრდილოეთის თაგვი“ (*Mesocricetus koenigi* Sef. ზაძაძე). ამ ცხოველის ოთხი ქვემო ება ვიპოვეთ კბილებით. საძირის კბილების ზომა (სამი საძირის კბილი ერთად აღებული) 9 mm აღწევს და ეტყება, რომ ზვენი ცხოველი ავთლასე უფრო უახლოვედობა ვაგასის რეცენტულ *Mesocricetus koenigi*-ს.

ჩრდილოეთის თაგვის ნაშთები (14 ცალი ქვემო ება კბილებით) აღმოჩენილია აგრეთვე გეარჯილას კლდის გამოქვაბულში (სულ ქვემო ფენაში)¹. ჩრდილოეთის თაგვის ნაშთები ძველს ქვის ხანაში ბევრია აღმოჩენილი იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, სამბურია ვეშირში და სხვაგან.

ვერმანელი პალეონტოლოგი ნერიჩვი ჩრდილოეთის თაგვის განათხარ მასალებში არჩევს ორ სახეს: *Cricetus vulgaris* ანუ *frumentarius*-ს და *Cricetus phaeus*-ს.

განათხარ მასალების და რეცენტული ჩრდილოეთის თაგვის შესწავლამ დაგვანახება, რომ ეს თაგვი დიდ ვარიაციას განიცდის ზომის შრივ, ისე რომ პატარა ზომის ინდივიდებთან, მაგალითად, *Cri-*

¹ Проф. Н. Смирнов, с. с. 144.

cetus phaeus-თან,¹ გვხვდება დიდი ზომის ინდივიდები (*Cricetus frumentarius*), რომლებსაც მოლიანი ტანის ზომა, კედლიანად აღებული, 31cm აღწევს, ხოლო კედლის სიგრძე კი მოლიანი ტანის ზომის $\frac{1}{2}$ უდრის.

სრულიყოფის თავი ტვის ხანაში უფრო ფართოდ და მრავლად იყო გაფრცვლებული, ვიდრე ზენ მას დღეს ეხედავთ. მუსტიეს დროიდან სრულიყოფის თავგებისათვის შეიქმნა ისეთი პირობები, რომ შვი იწყებს ვადისახლება უფრო სრულიო მხარისკენ.

სრულიყოფის თავი გერმანიის მტრუნელების ქვე-ოჯახს (*Cricetinae*) და შეტად საზარალო ცხოველად ითვლება შერჩევობაში.

ზემოთ აღნიშნული ფენა გვეუბნება, რომ დეესტერელის ადამიანის დროს ჰეა დღევანდელზე უფრო ცივი იყო, რაზედაც მივითითებხ *Rangifer tarandus*-ი და *Capra* sp.; ცივი ჰეის შედეგი კი იყო ის, რომ სუბალპური ზონა უფრო დაბლა იყო დაწეული, ვიდრე ეს დღეს არის (ამსავე სხვათა შორის მიწმობს *Mesocricetus koenigi*). ამისდა მხედვით ცხადია, რომ მაშინდელი ცხოველების ვერტიკალურად განაწილებაც სხვანაირი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად აქვს ამას ადგილი, ე- ა. თმ დროის ცხოველებს, როგორც არის ბრემი, შევლი, თხა და სხვა. უფრო დაბლბ ამგილებზე ეწმებოდათ საცხოვრებელი ბანა.

¹ *Cricetus phaeus*-ი დღესაც ცხოვრობს რუსეთს სამხრეთ ნაწილების განულო ველებზე და ზეა ამის მხოლოდ ადგილებში და სველბობით თავის ზომისა.

კაჟის ქვა და ოხსიდიანი

კაჟის ქვა და საერთოდ Silixarten, როგორც, მაგალითად, Bandjaspis-ი, ოხსიდიანი (ვულკანური შუშა) და სხვა, მეტად მაგარი და დიციბი არიან. ადვილად შეიძლება მათზე ლაშქლების ატყევა, რომლების ქვემო წახნავი ნაქარის ზემო პირის მაგვარ ფორმას იღებს და ამიტომ ამზობენ, „ნიკარისებური ნამტერგევი“ (mascheligen Bruch).

ველა კაჟის ქვაზე და ოხსიდიანზე შესაძლებელია სულ ადვილად ფაქტურით სხვადასხვა ფორმის მეტად ბასრ ნაპირებიანი ლაშქლები. განსაკუთრებით ადვილია ლაშქლების ატყევა და საერთოდ კაჟის ქვის დამუშავება, როდესაც ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს ნიადაგის სინესტე.

კაჟის ქვები ღედამიწის სხვადასხვა შრეებში გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა გეოლოგიურ ეპოქებს გაუთვნიან.

დევისსტერელში დამუშავებული კაჟის ქვები, როგორც უკვე აღნიშნული გავჩინდა, ტურონის და სენონის ფენებიდანაა წამოყრილი და წამორეცხილი. უნდა ვიფიქროთ, რომ კაჟის ქვები, რომლებსაც იარაღად ამუშავებდა დევისსტერელის ადამიანი, მოკრებილია დევისსტერელისავე შიდამოგებში, ხდაც კაჟის ქვები დღესაც ბლომადაა გაბნეული მიწის ზედა პირზე, და, თუ ზეენ დევისსტერელის მახლობლად წამოენ წითელფრის კაჟის ქვებს და მდინარე გოკოშერის და ჯიხვილას კალაპოტში და მის ფერდობებზე აკრფვილ ნაქარისფერ კაჟის ქვებს შევადარებთ დევისსტერელის კოლექციის კაჟის ქვებს, დაერწმუნდებით, რომ დევისსტერელის ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ იყენებდა ადგილობრივ შეკრფვილ კაჟის ქვებს და შორი ადგილებიდან არ მოქონდა.

დევისსტერელის ადამიანს თვითონ არ უნდა შეეძლებოდა მაგარ კირქვიან ტურონისა და სენონის ფენებიდან კაჟის ქვის ღინებინა და კონკრეტობის გამოღება, ვინაიდან ამ საქმისათვის მას არ მოეპოვებოდა არც იარაღი და არც დრო. ერთი სიტყვით, დევისსტერელის ადამიანი არ მასდევდა მაგარი კირქვიანი შრეებიდან კაჟის ქვების გამომტერვას, თუმცა ქვის ხანის ადამიანები ბელგია-



ში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და სხვაგან არ ერიდებოდნენ ღრმად მდებარე მიწის ფენებიდან ამოეღათ ხოლმე მათთვის მგეტად საჭირო კაცის ქვები, რისთვისაც ირმის რქისაგან ნაკეთობა წერტილს საშუალებით დიდს იარაღებსა და „მალარობებსაც“ კი აკეთებდნენ¹. ქვის ძარბაღის გასაკეთებლად დღეისებურად აღამიანი უმთავრესად ხმარობდა წითელი და ნაცრისფერ კაცის ქვას და ომსიდიანს. წითელი და ნაცრისფერი კაცის ქვები ფერების მიხედვით ბევრს სხვადასხვა ვარა-აიკის ვანიცდრან. წითელფერის კაცის ქვები ზეენ გვხვდება მუქი ენ-დროსფრადან დაწებულად და ვარდისფერამდე. ნაცრისფერი კაცის ქვები კი გვხვდება, როგორც მუქი, ისე და ფერად.

როგორც წითელს, აგრეთვე ნაცრისფერ კაცის ქვებს ხანდახან ემსხვეთ წინწკლები და სხვადასხვა ფერის ზოლები, ფერი მკრათა-ლი და არა „კოცხალი“; ამის მიზეზია ის ვარაუგობა, რომ ზეენს კაცის ქვებს თან ახლავს პატინა². ეს პატინა მგეტად საინტერესოა, როგორც კაცის ქვების სიძველის აღსანიშნავად, აგრეთვე მათი ავტენტურობისათვის.

ნამტვრევებზე შერჩენილს ღინზების და კანკრეციების კანს ახასიათებს ფოროვანობა და სიმქისე, თუმცა ამ კანის სისქვა უმეტეს შემთხვევაში, უწინაშენლოა.

ღვეისებურად აღმოჩენილ კაცის ქვებს ხშირად ემსხვეთ მიკროსკოპული ორგანიზმები (ფორამინიფერები და სხვა).

ომსიდიანი დღეისებურადს კოლექციაში ზეენ გვხვდება, როგორც მოწითალო ფერის და შავზოლებიანი, აგრეთვე—მოშავო ფერისაც სხვადასხვა ვარაიციებით.

გვგვარეშა, რომ ომსიდიანი შორს მდებარე ადგილებიდან უნდა იყოს დღეისებურადში შემოტანილი, ეინიდან მოშავო ფერის ომსიდიანი ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია თავფარავანი (ჯავახეთში), გოდერძის უღელტეხილზე, ბაკურიანის და ბორჩალოს რაიონში, მდინარე ქნის სათაფეში და ზოგიერთ სხვა ადგილებში, რომლებიც მგეტად დიდ მანძილზე არიან დღეისებურადს დაიცილებული.

მოწითალო ფერის ომსიდიანი კი ჯერ-ჯერობით არხად არის აღმოჩენილი საქართველოში, ხოლო მისი ბუდობები კარგად არის ცნობილი სომხეთში (არზნის მიდამოებში), სახელდობრ „ნოეი ნი-

¹) J. Andre e, Bergbau in der Vorzeit 2 (1922).

²) შავფეხილის გამოყვანილი (M. Chédeville, La patine de silex) პატინა არის ზედევი კაცის შავის ვარაიობის.



კოლაგეა"-ში, ომსლიდონში (ყარსის რაიონში) და სხვა ადგილებშიაც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის გარეშე მდებარეობენ¹.

ეტეობა, რომ ომსლიდონს დიდად აფასებდა დღეისთვის აღამაინი. ომსლიდონის თითოეული ნამტყრევი, მიუხედავად მისი ჭარბისა, ან იარაღად არის გაკეთებული, ან იარაღად გამოყენებული, რასაც ნათლად მოწმობენ ნამტყრევათა ნაპირები.

როგორ უნდა აეხსნათ ჩვენ დღეისთვის ომსლიდონის შემოტანა შორი ქვეყნებიდან?

ყველაზე უფრო სწორი იქნება ის აზრი, თუ დავშეღებთ ან (Déschelette) და ობერმაიერთან ერთად ვატყვიოთ, რომ ქვის ხანაშიაც მონადირე-შემგროვებელ სხედასხვა ვეფულებს შორის ადგილი ქვინდა საქონლის გაკვლა-გამოკვლას. შესაძლოა აგრეთვე, რომ ზოგს შემთხვევაში ადგილი ქვინდა მტრების შესევას ერთი ტერიტორიიდან მეორეში და ამ შესევის დროს ნივთების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას ნადავლის სახით².

შემწველია აგრეთვე, რომ ევროპაში, პალეოლითის დროის ნამოსახლარ ადგილებში, ხშირად აღმოჩნდება ხალხე ზღვის ნივთები, რომლებიც მეტად შორი მანძილიდან არიან მოტანილი. მაგალითად, ცნობილ გრიმალდის გამოქვაბულში რივიერში აღმოაჩინა მრავალი ისეთი ნივთი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში და ატლანტის ოკეანეს ნაპირებზე მოიპოვება. მას დაახლოს გამოქვაბულშიაც არის აღმოჩენილი ისეთი ნივთები, რომლებსაც კავშირი აქვთ ხმელთაშუა ზღვასთან. გურდანში გვხვდება ატლანტის ოკეანეს ნივთები, ბელგიის გამოქვაბულში აღმოჩენილია კავის ქვები, რომლებიც საფრანგეთიდან არის შემოტანილი. ლაუერი-ბასაე (Laugerie-Basse) ბევრი იყის ხმელთაშუა ზღვის ნივთები. ეს მაგალითები ადისტურებენ იმ აზრს, რომელიც ჩვენ ზემოთ ვგვჩინდა მოყვანილი გაკვლა-გამოკვლის შესახებ პალეოლითში.

ქავის ქვის დამუშავება

პალეოლითის დამიანმა, განსაკუთრებით ახალი პალეოლითისაში, უკვე მშვენივრად იცოდა კავის ქვისა და ომსლიდონის ტექნიკური

¹ შემწველია, რომ დღეს, მაგალითად, კავის ქვა ავსტრალიაში არის ცნობილი ქვეყნის თითოეული მცხოვრებლისათვის; ხოლო ამავე ქვეყანაში კავის ქვა მოიპოვება რამდენიმე ადგილას. აქედან ბუნებრივია, რომ ჩნდება ვაეფა და ან ვაგბათა მცხოვრებელია შორის": A. u. P. Гербертсон, Ученые и искусство, Спб. 1913, გვ. 114.

² Obermaier, o. c. 23. 238.



თვისებები და შეეძლო ამ ქვების კარგად დამუშავება¹. ცხადია, როგორც ქვის, აგრეთვე სხვა მასალის (მის, ძვლის, რქის, ნივარის და სხვა) დამუშავების მეთოდები ერთი თაობიდან მეორეზე გადადიოდა და თანდათან უმჯობესდებოდა. საფიქრებელია, რომ ქვის დამუშავების ტექნიკა საზოგადოების ყველა წევრებს ერთნაირად კარგად არ ეცოდინებოდათ და არც თვით დამუშავების მეთოდები ერთს დონეზე იქნებოდა დაყენებული სხვადასხვა კლანებში. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ ქვის იარაღის ფაბრიკაციის უმაჯრესი ცენტრები მოიპოვებოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც იყო ამისათვის საჭირო მასალა. მართალია, ზეენ გვხვდება ხოლმე იარაღი ისეთი მასალისგან ნაკეთები, რომელიც არც ადგილობრივ და არც ახლო-მახლო ადგილებში სრულიად არ მოიპოვება, მაგრამ ასეთი იარაღის რიცხვი შეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს ამ იარაღის მასალა, ან თვით იარაღი ამ მასალისგან ნაკეთები, სულ სხვა მოწოდებული ადგილიდან უნდა იყოს შემოტანილი, როგორც ეს ზეენ დაუინახავთ დევისბერგელში აღმოჩენილ მასალებს შორის, მაგალითად, ომსიდიანის სახით

როდესაც ქვის დამუშავების ტექნიკაზე ვლაპარაკობთ, ზეენ მუდველობაში გვაქვს კაენის ქვა და ომსიდიანი, რომლებსაც იყენებდა იარაღისათვის დევისბერგელის ადამიანი. სხვა ქვები, როგორც არის ნეფრიტი, პოროფირი, დიორიტი, გრანიტი, კირქვა და სხვა, რომლებიც იარაღი ქალეოლითისა და ნეოლითისავე ეკუთვნის, დევისბერგელის ადამიანს არ გამოუყენებია და ამიტომ მათი დამუშავების ტექნიკაზე არ შეგვიძლება თქვა. აღინიშნავთ მხოლოდ, რომ მათი დამუშავება განიარჩევა კაენის ქვისა და ომსიდიანის დამუშავებისგან. აგრეთვე არას ვაძვირებთ ნეოლითის დროის ეკუთვნილობას კარგად განვითარებულ დამუშავების ტექნიკაზე და დავრჩებით მხოლოდ ქალეოლითის დროის ფარგლებში, ვინაიდან თვით დევისბერგელის კოლექცია, როგორც ამას შემდეგში თვალსაჩინოდ დაინახავთ, ქალეოლითის გვეუყნის.

დავიწყეთ იმათ, თუ როგორ ხდებოდა კაენის ქვის კონკრეტობის ან ლინზების დამტერება, რომ შემდეგში შესაძლო ყოფილიყო ამ ნამტერებისგან იარაღის გაკეთება.

ცხადია, კაენის ქვის კონკრეტობებს და ლინზებს დევისბერგელის ადამიანი ამტერებდა ისევე მაგარი ქვით (კვარცხთით, გრანიტით და სხვა), რომელსაც ხშირად, როგორც „გაბრელს“ Gabriel et Adrian de Mortillet-ებმა აღნიშნავენ, რომ ქვის დამტერება ან „დალა-

¹ მანვე იცოდა ზოგიერთი სხვა ქვების თვისებებიც, რაზედაც შეგვიძლია ვთქვათ, მაგალითად, ციმშირისა და ყუბის ზოგიერთი ქალეოლითის მასალები.

ხდებოდა აგრეთვე ცეცხლის საშუალებითაც (*étouffement et éclatement au feu*)¹, იშვიათად, როგორც ამას დღესაც სჩადინ ანდამანის კენჭულის პრიმიტიული მესოერებლები და ცენტრალური კრისტალის აესტრალიელები. ცეცხლით ქვის დაშლას და დამტვრევას მისართავდა ხოლმე პალეოლითის ადამიანი განსაკუთრებით ძველს ანუ ქვემო პალეოლითში, ხოლო დევისბერელის კოლექციაში. ამგვარად დაშლა-დამტვრევის ნიშნები ზეენ ვერ გავარჩილთ.

რაც შეეხება დამუშავების ტექნიკას პალეოლითში, ამასთავის ზეენ უნდა გავარჩიოთ კაცის ქვის და ობსიდიანის სამკვარი დამუშავების მეთოდი: პირველი — ეს აქნება გათლა (*martellement*), რომელიც ვულისხმობს პატარაპატარა ნაწილების აცლას დარტყმის საშუალებით, მეორე — ღამულების ატყეცას (*percussion*) და შესამეც წნევის (*pression*), რომლის დროსაც ასევე ადვილი აქვს პატარაპატარა ნამტვრევების ავარდნას და, საჭიროების მხედვეთ, თვით ღამულების ატყეცაც.

კაცის ქვის დამუშავება გათლის (*martellement*) საშუალებით ყველაზე უძველესია და მას უმთავრესად მიმართავდა ხოლმე ძველი პალეოლითის ადამიანი, ხოლო ახალი პალეოლითის ადამიანი კი უმთავრესად სარგებლობდა ატყეცის (*percussion*) და წნევის (*pression*) ტექნიკით. წნევით ქვის დამუშავების ტექნიკას შემდეგნაირად აღწერს მერვიდმეტე საუჯუნის ისპანელი მწერალი ტორკვემადა (*Torque-mada*) მექსიკის პრიმიტიულ მესოერებთან შორის. ატყეცები, ამბობს ტორკვემადა, აიღებენ შავი ქვის (ობსიდიანის) დიდ ნაჭერს და დაამკვრებენ ფეხებს შუა. შემდეგ აიღებენ გრძელსა და მხვილს ჯობს, რომლის ერთს თავს ქვის ნაპირს მიაბჯენენ და მეორეს კი ზემოდან დააწევიან მთელი თავისი ღონით. ამგვარ ხერხს შედეგად მოყვება ის, რომ ობსიდიანიდან შესაძლებელი ხდება გრძელი ღამულების ატყეცა მეტად ბასრი ნაპირებით². ქვისაგან ღამულების ატყეცა წნევის საშუალებით დადასტურებულია ბერს სხვადასხვა ხალხს შორის.

დევისბერელის ადამიანიც კაცის ქვის კონკრეტებიდან და ღონებედიან მკვარი ქვის დარტყმით, ან ძლიერი დაწოლით ღამულებს აატყეცდა ხოლმე. მაგრამ ღამულების ასატყეცად საჭირო იყო ვერ თვითონ კონკრეტისი, ან ღონის თავის გადამტვრევა და ვერცთქოდებული „დარტყმის სიბრტყის“ მიცემა, რომ შემდეგში, ამგვარად

¹ Le Préhistorique, o. c. გვ. 63.

² J. Lubbock, Prehistoric Times, მეორე გამოცემა, გვ. 63—65.

შემზადებულს ჭეას, მაგარის დაკრით იტყუოდა ღამელება. ღამე-
ლებს კარგად ეტყობა დარტყმის ნიშანი (halbe de percussion, Schlag-
marke), რომლითაც ვრის დროს მარტოდ მარტო ხელმოწერად მი-
ღებულ ღამელას ახსიათებდნენ და სრულიად ივიწყებდნენ, რომ ამა-
ვე სახის ნიშანი ღამელაზე და თვით ამ უკანასკნელის წარმოშობაც
სხვა პირობებშიაც შესაძლებელი იყო.

დაკრითის ჩამომტვრევას ანუ ღამელას მიღებას დარტყმის სა-
შუალებით ის ნაკლი აქვს, რომ უფველთვის ვერ ხდება შესაძლებელი
განსაზღვრულ წერტილზე მოახდინოთ დარტყმა, ვინაიდან დარტყმის
მიმართულება (Schlagrichtung) მერყევია. ამრიგად დამტვრევის წესი
შეტად უხეზბელი არის პატარა ქვების ღამელებად დამტვრევსათვის.
ხოლო, რაც შეეხება მოზრდილი ზომის კეთის ქვის ღამელებს და კონ-
კრეტების დამტვრევას, მათთვის ეს ხერხი კარგად მომარჯვებულა,
ვინაიდან ადვილად ხდება სხვადასხვა ზომის ღამელების ჩამომტვრევა
და თანაც მუშაობა შეტად სწრაფად მიდის.

როდესაც პატარა ზომის ქვები გვინდა დავამტვრიოთ ღამელებად,
მაშინ საჭიროა გვერთხვინ მაგარი ქვის ამ ძელის „გრადელი“
(Amboise) (ტაბ. VIII, სურ. 1)¹⁾, რომელზედაც დადებენ დისამტვრევექ ვას
და ხელით დაიკავენ. შემდეგ ზემოდან დაარტყამენ მას ხელსა-
ქვს (percuteur, Schlagstein) (ტაბ. VIII, სურ. 2)²⁾ და დამტვრევენ
ღამელებს. ამ სახით ქვის დამტვრევა უფრო ადვილია, ვინაიდან
დარტყმა უფრო სწორად ხდება ნიშანში ამოღებულ წერტილს.

თუ ღამელა ამ სახით, როგორც ის იყო მიღებული იტალიის
დროს იარაღად არ გამოდგებოდა, მაშინ მას გაუკეთებდნენ რეტრუსს
და აძლედნენ ამათიმი ფორმის, ცხადია, ბევრი ღამელა სრულიად
უკარგისი იქნებოდა; არც რეტრუსის კეთება იყო მათზე საჭირო. ღამე-
ლას ნაძირების ჩამოსამტვრეველ და მასზე რეტრუსის გასაკეთებლად
მიმართავდნენ ხოლმე აგრეთვე დამუშავების ისეთს მეთოდს, რომელ-
იც ეწოდებოდა წვევის (pression) სახელწოდებით. ეს მეთოდი იმა-
ში მდგომარეობს, რომ ღამელას ანუ სხვა რომელიმე ქვის ნამტვრევს
მოათავსებდნენ მაგარ რამზე (ქვაზე ან ძვალზე) და მაგარივე საგნის,
მაგალითად, ძელის დანოლის საშუალებით აცლიდნენ შეტად პატარა
ზომის ნამტვრევებს დასამუშავებელი ქვის ნაძირებს. ამრიგად, ღამე-
ლას უკეთებდნენ რეტრუსს და თანაც აძლედნენ ამათიმი ფორმის,
რომელსაც იარაღის დანიშნულება ითხოვდა. რეტრუსის გასაკეთებ-

¹⁾ ტაბელაზე მოყვლულ „გრადელს“ ნათლად ეტყობა მხარების ნიშნები.

²⁾ ხელსაქვების ფორმა ბევრს სხვადასხვა ვარაუდებს განიცდის.

42

ლი დასაწოლი იარაღი აღმოჩენილია დვეისბერგლშიაც (ტაბ. VIII, სურ. 2); ამ იარაღით შესაძლოა აგრეთვე ღამელას ატყუაც, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული. დვეისბერგლში აღმოჩენილ იარაღზე უმათერესად გამოყენებულია დამუშავების ორი მეთოდი: percussion-ი და pressure-ი. ზოგჯერას, მეტად აშუაისთ შემთხვევაში გამოყენებულია დამუშავების ისეთი მეთოდიც, რომელიც ზემოთ გვექონდა ნახსენები martellement-ის სახელწოდებით¹.

ქვის ხანის ქვის და ობსიდიანის ნაპებრეშები

ქვის ხანის ადამიანის ნამოსახლარ ადგილზე, ქვის იარაღებთან და სხვადასხვა ნივთებთან (მაგალითად, ძვლებთან, ცეცხლის ნაშთებთან და სხვა) ერთად, გვხვდება ხოლმე ქვის ქვის, ობსიდიანის და სხვა ქვების უამრავი ნამტვრევები, რაც მოწმობს ამ გარემოებას, რომ იარაღების გაკეთება წარმოებდა ადგილობრივ, ე. ი. იმავე ნამოსახლარ ადგილზე.

დვეისბერგლის კოლექციებში მეტად ბევრი სხვადასხვა ზომის და სახის ქვის ქვისა და ობსიდიანის ნამტვრევები გვხვდება². ეს ნამტვრევები შევიძლია დავყოთ შემდეგ კატეგორიებად:

1. კონსერვაციულ და ან ლინზებზე ატებული „თაფლები“, რომ შესაძლო ყოფილიყო მათთვის დარტყმის სობრტყის ქიცება, რათა შემდეგში ადვილად ამტვრეოთ ღამელაზე. ამგვარად ატებულ თაფებს აქვს ორი გვერდი, რომლითაცან ერთს შათვანს მთლიანად აქვს კანი შერჩენილი და არ ეტყობა დარტყმის სობრტყე. ამ ნატებების სიგრძე 4-10 cm აღწევს.

2. სხვადასხვა ზომის და ფორმის გვერდის ანამტვრევები, რომლებიც მიღებულია ნეკლეუსების დამზადების დროს. მათ უმეტეს შემთხვევაში აქვთ შერჩენილი კანი, რომელიც ფარავდა კონსერვაციას და ან ლინზას. უმრავლეს შემთხვევაში მათ ნათლად ეტყობათ

1) რომ შემდეგში ვაგვიადიდდეს იარაღის ვარტყა და არ მოყვებეს ერთმანეთში არცა, ახლაც აღნიშნით ზოგჯერათ ტვიშინებო. რომლებიც ღამელასთან არიან დაკავშირებული. ნამტვრევის წახმაც (face d'achèvement) ანუ სობრტყის (plan) ეწოდებენ ამ წახმაცს რომელიც ნამტვრევის ფრის გაქმნა ღამელაზე. ამ წახმაცს ეწოდებენ ქვემო წახმაცს, რომ გაართობს მეორე წახმაცს. რომელიც ზემო წახმაცს ეწოდებენ. წახმაცის ერთ ხოლოს, სადაც ეტყობა დარტყმის ნიშანი, ეწოდებენ ფრეს (base), მეორეს კ — თავს (pointe). წახმაცის მესამე ნაბიჯები, ფრესს და თავს შვა, აქვება გვერდები (côtés).

2) ობსიდიანის ნამტვრევები მეტად მკაობრეობენიანია.

დაბრტყვის სიბრტყე, ნივთიერების წახნაგი ბერკეტით და ამ ბერკეტზე ავირდნილი პატარა ნაწილი (esquillement de percussion). ამ ნაბრტყების სიგრძე საშუალოდ 10 cm-ია, სიგანე — 4 cm და სისქეუ ხანდახან 1,5 cm აღწევს. ამგვარ ანამბტრევეებს ზოგიერთი მეცნიერ-ვაჩი, მგალითად, ა. ს. უვაროვი „საფხველში“ და „ნავახეზში“ თვლის, რაც შეუდობია არის¹.

3. საინტერესოა ნუკლეუსი (Nucleus) თავების ანამბტრევეები, რომლებიც საჭირო იყო ნუკლეუსისათვის დაბრტყვის სიბრტყის მისაღებად, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ნუკლეუსიდან კიდევ სწორი და განსაზღვრული ფორმის და ზომის ლამბტრეების ატყევა. ამ მიზნით ნუკლეუსს თავს ამბტრევიდან ასეთნაირად, რომ ანამბტრევის სიბრტყე პერპენდიკულარულად მოხვედროდა ნუკლეუსის ცერძს. ამ ანამბტრევეებს შერჩენილი აქვთ ფაციტები (facettes). ეს იმ ფაციტების ნაწილია, რომლებიც პერძი ნუკლეუსს, სინამ მას თავს მოამბტრევიდენ.

4. ნუკლეუსის გვირგვინის ანამბტრევეები. შათი ამბტრევა საჭირო იყო ნუკლეუსის შეკეთების დროს, როდესაც ნუკლეუსს გვირგვინი გაფუძვლებოდა და ამიტომ თხოვდა „შეკეთებას“. ეს ნამბტრევეებიც მეტად დიდ სტრუქტურულ ვანაქციან, როგორც ფორმით, აგრეთვე ზომით. მეგრამ ესენი შედარებით უფრო პატარა ზომის არიან, ვიდრე ზემოთ ნახსენები მეორე კატეგორიის ანამბტრევეები, ანუ ის ანამბტრევეები, რომლებიც მიღებული იქნენ სულ პირველი ნუკლეუსის გაკეთების დროს.

5. გატეხილი ლამბტრეები. შათი რიცხვი არ არის დიდი. ეტეხება რომ ეს გატეხილი ლამბტრეები მეშაობის დროს არიან გატეხილი, ვინაიდან მათ ნაპირებს გამოყენების ნიშნები ემჩნევა.

6. დამბტრეული იარაღი, უმთავრესად საფხველები, რომლებსაც შერჩენილი აქვთ რეტეში. ესენიც მეშაობის დროს არიან გატეხილი, და, როგორც იარაღი, უვარგისად გადატყეული.

7. პატარაპატარა ზომის ანამბტრევეები, იარაღის დამუშავების და ლამბტრეების ამბტრევის დროს მიღებული. შათი რიცხვი მეტად დიდია. ამგვარი ანამბტრევეები ყოველთვის ბევრი მოიპოვება ხოლმე იმ ადგილებში, სადაც ქვის ხანის ადამიანის სახელოსნო იყო. თუ ოგიერთს შემთხვევაში ასეთ ანამბტრევეებს ვერ პოულობდენ, ეს თხსნება მხოლოდ გათხრის ცუდად წარმოებით.

¹ А. С. Уваров. Археология России. Каменный период. Москва 1881. ტ. I, გვ. 115 ff. შედარებ: С. Н. Заматини, Карацаровская палеолитическая стоянка: ГАНМЕ, Ленинград 1928, Сборник № 1, гв. 7.



8. ნამტვრევები სხვადასხვა ფორმის, ამგვარი ნატვრები წმდება ამ დროს, როდესაც კაეის ქვაზე კარგად არ ტყუვდება ლამელები, ხოლო კაეის ქვა კი იშლება და იძლევა უსწორ-მასწორი ნაპირებიან და ფორმის ნამტვრევებს.

9. კაეის ქვები, რომლებიდანაც უნდოდით ნუკლეუსების მიღება და რომლებიც ნუკლეუსებად არ გამოდგენ, ენიიდან მათზე ან სრულებით არ იყო მოსახერხებელი ლამელების ატყეა, ან ეს უკანასკნელი მეტად ცუდად იტყეებოდენ.

10. ნუკლეუსები, რომლებიც საყვებით არიან გამოყენებულნი. ეს ის ნუკლეუსებია, რომლებზედაც აღარ იყო ლამელების ატყეა მიზან-შეწონილი და ამიტომ, როგორც ნუკლეუსები, უფარგისად გადატყე-ულნი. თუმც ზოგიერთის შემთხვევაში ამ ნუკლეუსებს ერთბაშად ვერ



სურ. 8. სამწახანკოეანი ათაწიოი ფორმის ნამტვრევები (lames à dos rabattu) 1/2.

ელეოდა ადამიანი და ზოგიერთის შემთხვევაში იყენებდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის (შაგალითად, საჭრისებად, საფეხებად და სხვა).

11. სხვადასხვა ზომის ლამელები, რომლებიც შესაძლოა ხანდახან იყენებდა დეისბერგელის ადამიანი როგორც დანებს და სხვა. ამ ლამელების ზომა მეტად დიდ სხვადასხვაობას განიცდის: დეისბერგელის კოლეკციაში ზენ გეხედება, როგორც 15 cm სიგრძის ლამელე-ბი, აგრეთვე 2 cm და უფრო პატარა ზომისაც, ზოგიერთის შემთხვევაში მათ გარკვევით ეტყობათ ნამუშავრის ნიშნები. ამ ლამელებს უმეტეს შემთხვევაში ახსოვთებს სწორი მოყვანილობა, თითქმის პარალელურად მიმდგარი

ნაპირები (entree), რომლებიც წვეროთან (avantet) ერთდებიან და მახვილ კუთხეს ქნიან. ზურგის ნაწილზე მათ ემსხვევათ ორი ან სამი წახნავი, ლამელები თვალსაჩინოდ არიან ხოლმე ხანდახან რკალისებურად მოხრილი. მათ გარკვევით ეტყობათ ყველა ეს ნიშნები, რაც ახსოვთებს ზელოენურად ატყეილ ლამელის, შავალითად დარტყმის სიმბრტყე ანუ „ჩამოსამტვრევი სიმბრტყე“ (base), ნივთარსებური ჩამომტვრევის წახნავი (face d'eclatement) და esquillement de percussion-ი.

12. სამწახანკოეანი არასწორი ფორმის ნამტვრევები (სურ. 3.), რომლების განივი ქრილი სამკუთხედს იძლევა. ესენი უნდა იყენენ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, სკელ ლამელებზე „ჩამ-ტვრევი“ საჭრისების გაკეთების დროს. ზოგს მათგანს რეტრევი ეტყობა



და კიდევაც ფიქრობს ზოგიერთი არქეოლოგი, რომ ისინი წარმოადგენენ ცალკე მიკროლითურ იარაღს, მაგალითად, ამ აზრისთა ომერ-მაიერა¹⁾.

რეტელში ამგვარ ნამტვრევებზე თხსნება იმ ვარკმობით, რომ, როგორც ამას აღნიშნაფს ნ. ეფიშენკო, სპერისების გაკეთების დროს ლამელებს უკეთებდენ რეტელში არა თავბოლოზე, არამედ ვერდებზედაც, რომ უფრო მიზანშეწონილი ფორმის იარაღი შეეღოთ და, როდესაც სპერისის გაკეთების დროს ლამელებს ნაპირს ამტვრევდენ, მაშინ რეტელშიც თან გაყვებოდა ზოლზე²⁾.


რ. შმიდტი (R. Schmidt) ამ ნამტვრევებს უწოდებს თავწეცტას (petites pointes, Borstenspitzen) და ვერდენაბოლიღ ლამელას (lames à dos rabattu). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზოგ მათგანს შემთხვევით მართლაც ხმარობდა ადამიანი, როგორც მიკროლითის, მაგრამ განსაკუთრებული მიზნით ამგვარი იარაღები პირველყოფილ ადამიანს არ უნდა ვაგუთებია. ნამტვრევების სიგრძე საშუალოდ აღებული 4 cm აღწევს.

¹⁾ H. Obermaier, Der Mensch der vorzeit, 83-182.

²⁾ Н. Ефименко, Костенковская палеолитическая стоянка: Ежегодник Русского Азиатского общества, Петроград 1915, 83-18.

ნუკლეუსი (Nucleus)

ნუკლეუსებს უწოდებენ პატარა ზომის კვებს, რომლებსაც ხელოვნურად აქვთ ამტვრეული ლამელები ან მის მაგვარი ნამტვრევები. ლამელების და საერთოდ ნატეხების ამტვრევა კი ხდებოდა, როგორც პერპენდიკულარული აგრეთვე ირიბი დარტყმით. როდესაც ირიბი დარტყმის საშუალებით ხდება ნატეხების ამტვრევა, მაშინ ხევენ მივიღებთ დისკოსებრი ფორმის ნუკლეუსს, ხოლო პერპენდიკულარული დარტყმის (comp. verticax) დროს — პრიზმატული ფორმისას



სურ. 4. ნუკლეუსები (Nuclei). 1/2.

და ამ შემთხვევაში ნუკლეუსის სიმაღლე უფროსის მეტია მის სიგანესთან და სიშხოსთან შედარებით.

დევისბერგელის ნუკლეუსები თითქმის ყველა არასწორი პრიზმისა და კვეთილ კონუსის მაგვარია და ეტეობა, რომ მათზე ლამელების ატყევა ხდებოდა ორივე თავიდან (ფუქიდან), მაშასადამე მათ ჰქონდათ ორი ფუქე (ორი — დარტყმის სიბრტყე — base), ენაიდან ლი-

შეღების ატყვია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვას აქვს ჯაბრტყმის ანუ ბრტყელი ფუძე. ეს ფუძეები ზეგარს ზეგარს ნუკლეუსს დღესაც აქვს შერჩენილი, ზოგს კი მხოლოდ ერთი ფუძე აქვს, ზოგს თითქმის აღარ ეტყობა არც ერთი ზეღოვნურად გაკეთებული ფუძე: ამ შემთხვევაში, რაოდენაც ნუკლეუსებს შერჩენილი აქვთ ფუძეები, მაშინ ამ უკანასკნელებს ნათლად ეტყობათ დარტყმის ნიშნები ლამელების ასატყვად.

ჩვენი ნუკლეუსების ნეგატივები ანუ ფაცეტები (facettes) არიან მოგრძო ფორმის და ზომით პატარანი. ასე რომ, ნუკლეუსების ნეგატივების ზომა, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება ფეისბუქზედ შიგნით ნაოჩნ ლამელების ზომას. მგალითად, ჩვენს კოლექციაში მოაძოვება ისეთი დიდი ზომის ლამელები, რომელთა მაგვარი ნეგატივები ნუკლეუსებზე არ არის. ეს ვარაუდობა იმით ახსნება, რომ ზეგარს ლამელების ატყვის გამო ნუკლეუსები ძალზე არიან დამატარავებული და მათთან ერთად დამატარავებულან ნეგატივებიც. იმ ნუკლეუსებს, რომლებიც კარგად არ არიან გამოფენებულნი, უფრო ფართო და გრძელი ფაცეტები აქვთ, ვიდრე კარგად გამოფენებულ ნუკლეუსებს. ჩვენი ნუკლეუსების სიმაღლე საშუალოდ აღებული 4,5cm უდრის, თუმცა არის რამოდენიმე ეგზემპლარი, რომელთა სიმაღლე 6 cm აღწევს. არის რამოდენიმე ცალი ბრტყელი ნუკლეუსიც და ვგონებთ დავაწვრივებულ ზეღნაჯას. მიკროლითოვანი ნუკლეუსები არ ვეჭვდება. არის ისეთი ნუკლეუსებიც, რომლებიც გამოფენებულნი უოფლია, როგორც რეტუშორი (retouchoir) და როგორც ჩაბო (ხალაშინი), უოფელს შემთხვევაში მათს ნაბარებს ეტყობათ ნამუშევარის ნიშნები.

ფეისბუქზედ კოლექციაში ვეჭვდება ისეთი კაცის ქვებიც, რომლებიც სურდამი ნუკლეუსებად ექციათ. მათ გაკეთებული აქვთ ფუძეები (დარტყმის სიბრტყე); ეტყობათ, რომ მათს გეგარდებზე უღლიათ ატყვის ლამელები, მაგრამ უშედეგოდ, რადგან ეს ქვები კარგ ასატყვებს არ იძლეოდენ. ამიტომ ისინი მარტოვებით, როგორც უგარგისა.

ნუკლეუსების ფუძის გაკეთება ზღვებოდა ფართო და სქელი ლამელის ატყვით. აიღებდენ კაცის ქვის კონკრეტის და მაგარი ქვის (ხელაქვისის) საშუალებით ჩამოამტვრედდენ სქელსა და ფართო ლამელს, იმნაირად, რომ ნუკლეუსს გაკეთებოდა დარტყმის სიბრტყე. ამგვარსავე სიბრტყეს გავსოებდენ მეორე მანგხედაც და შემდეგ თანდათან ამტვრედდენ ლამელს დარტყმის საშუალო-

ში¹. მაგრამ ახალი პალეოლითიდან შემოდის აგრეთვე ახალი საშუალება ლამელის ახატეცად. ეს არის „დაწოლა“ ანუ წნევა (pressure). ამგვარი საშუალებით რომ ლამელა იტეკეთ საქირო იყო, როგორც ეს უკვე აღნიშნული ვეკონდა, მაგარა რაიმე საგნით დაწოლოდნ ნეკლეუსის ნაპირს და აგრეთვე მისთვის ლამელა.

ლამელის ამტერვეს ე. გორბოდცოვი უმთავრესად წნევის საშუალებით ხანის², ხოლო მორტილიეს აზრით კი ლამელის გასაქეობლად საქიროა ნეკლეუსის დარტყმის სიმბრტვეზე ვერტიკალურად დაკრა მაგარის საგნით³. პოლონელი არქეოლოგი სიევიცი⁴ ამტკიცებს, რომ ლამელის ატეცა ხდებოდა „ლუნჯის“ საშუალებით. მართლაც რომ ძნელი სათქმელია, თუ როგორ ხდებოდა უმთავრესად ლამელის ატეცა ქვის ხანაში. ცხდია, რომ ქვის ხანის ადამიანი ორთვე ზერბს მიმართავდა: „დაკრას“ და წნევასაც. მაგრამ, რომელი ზერბი მას უფრო ემარჯებოდა, ეს კი ძნელი სათქმელია. ამიტომ არ შეგვიძლია არ გავიხიაროთ კამბიანის აზრი, რომელაც იყო გამოთქმული მის მოხსენებაში ანთროპოლოგთა კონგრესზე, რომ დღეს კიდევ არ მოგვემოგება საქმა მისილა ამ საქიროის სწორი გადასაქრელად⁵.

ოხსიდიანის ნეკლეუსი მხოლოდ ერთი ცალი ვახუდება ჩვენს კოლექციაში და ისიც საქრისად ყოფილა გამოყენებული.

„ერთფეხიანი“ ნეკლეუსების რიცხვი 56-ია, „ორფეხიანისა“ კი 92, ხოლო დანარჩენი ნეკლეუსები 50-მდე არის, ასე რომ ყველა ნეკლეუსების საერთო რიცხვი 200-მდე აღწევს და ყოველ თითოეულ ნეკლეუსზე სამი ცალი იარაღი მოდის. ესეც კი მოწმობს ამ ვარებობას, რომ დღეისზედელი ნამდვილი სახელისნო იყო პირველყოფილი ადამიანის.

აღსანიშნავია, რომ ნამდვილი ნეკლეუსები ახალი პალეოლითის დასაწყისიდან ვახუდება და ნეოლითშიაც განავრცობდნ არსებობას, თუმცა ზოგაერთი ნეკლეუსი შესტიეს ეპოქაშიაც არის ცნობილი⁶.

საქრისი (Barins, Stichel), საქრისს, რომლის მოთავარი დანიშნუ-

¹ ნეკლეუსს ხანდისან ქონდა ზღვებრივი „დარტყმის სიმბრტვე“.

² B. A. Гуроднов, Работы по, Москва 1923, გვ. 84 და 184.

³ Mortillet, Le Préhistorique, გვ. 144.

⁴ L. Sawicki, Przyczynek do znajomości techniki obróbki krzemienia: *Wiadomości Archeologiczne* 1922, t. VII, გვ. 63.

⁵ L. Capitan, L' Evolution du travail de la pierre durant le paléolithique: *Congrès Intern. d'Anthrop. et d'Arch. préhist. C.R de la XIV sess.* Geneve 1912, გვ. 430.

⁶ Mortillet, Le Préhistorique, გვ. 163.



ლებს იყო ხის, ძვლის, რქის და ტყვიის ვაჭრა, კაცობრიობა ვაეცნო მკვე ძველ პალეოლითის მიწურულში, სახელდობრ, მესტიეს კულტურის სულ უკანასკნელ პერიოდში. ყოველ შემთხვევაში საქრისებო უწყე ცნობილი არიან L'abri Audi-ის (Dordogne) და Les Eyzies-ის (საფრანგეთი) ახლოს, რომლების კულტურა ეუთვენის მესტიეს უკანასკნელს საფეხურს. ამ დროის ერთი საქრისი აღწერილი აქვს Lalanne-ს¹ და მეორე Breuil-ს². საქრისებო ცნობილი არიან აგრეთვე La Quina-სი, შაითან-კობის (ვიჩიმი)³ და სხვა ადგილებს, რომლების კულტურა ამჟამე ძველი პალეოლითის მიწურულის პერიოდს ეუთვენის.

მესტიეს დროიდან საქრისებმა მეტად ჩქარი ტემპით იწყეს განვითარება და ახალ პალეოლითში უწყე მრავლად იყვნენ ვაგრეულებული ბეერს სხვადასხვა ადგილას. აღსანიშნავია ის ვარებობა, რომ ახალ პალეოლითის მიწურულში და ნეოლითის დასაწყისში საქრისების რიგებმა თანდათან იკლო და ისეთი ავჯავების პერიოდი, როგორაც მათ ჭინდათ ახალ პალეოლითის მეორე ნახევარში, მათ აღარ ჰქონიათ. აღსანიშნავია ის ვარებობაც, რომ საქრისების რიგების სიმეტრეს პალეოლითის მიწურულში თან მოყვა თვით საქრისების დაბატარაებმაც. შეგალითად, ტარდენუას კულტურამ (ეპიპალეოლითში) ჩვენ შილიად სრულიად პატარა ზომის საქრისებები, ეგრეთწოდებული micro-sarins-ები მოგვცა, რომელთა მარჯვენა მხარეზე თითქმის ყოველთვის არის ხოლმე ჩატეში.

დევისბერგელის ადამიანი საქრისების ვასაკეთებლად უმთავრესად იყენებდა ცოტად თუ ბეერად სქელ ლამელებს და იშვიათად ნუკლეუსის შევარ ნამტერებებს. ცნობილია, რომ ჩვეულებრივად საქრისებს სქელი ლამელებიდან აკეთებდენ თხელი ლამელებიდან ვაკეთებული საქრისი სრულიად უვარგისია, რაც თვის დროზე ცდების საშუალებით დაამტკიცა Leguey-მ.

საქრისად ვამოსაყენებელ ლამელას, თუ მას არ ჰქონდა შერჩენილი ბუნებრივი დარტყმის სიმბრტყე ვარდივარდმო ვადამტერებ-

¹ G. Lalanne, L'abri des carriés de l'abri Audi, station de la fin de l'époque moustérienne aux Eyzies (Dordogne). Actes de la Société Linnéenne de Bordeaux, t. LXII, 1909.

² H. Breuil, Etudes de Morphologie Paléolithique: Revue de l'École d'Anthr., XIX, 1908, 83-320.

³ F. A. Венч-Осмоловский, Шайтан-Коба. Кривая стоянка типа Абри-Оди: Бюллетень Комитета по изучению исторического наследия, Ленинград 1936, № 2, 83, 79.

გ. ნიორიძე, პალეოლითის ადამიანი დევისბერგელში.

დენ თავს, ან რეტუშის საშუალებით ზელოვნურად გაუკეთებდნენ დარტყმის სიმბრტყეს, რომლის შემდეგაც უფრო ადვილად და მზან-შეწონილად იყო შესაძლებელი გვერდის ანატეცის ჩამოშტრევა ხელჩატქნით და ამრიგად მავარი და თანაც მკრელი გვერდწახნაგის



სურ. 5-7 ცალწახნაგ მარტივი საჭრისები (Stichel) ¹⁾.

გაკეთება. ჩვენს კოლექციაში საჭრისები ემთავრებად კეთის ქვისაა, მხოლოდ ჩამოდენიზე ცალი გვხვდება ოპსიდიანისა.

არქეოლოგიაში უკვე შემოღებული კლასიფიკაციის მიხედვით²⁾, ჩვენი კოლექციების საჭრისები შეგვიძლია ცხრა მთავარ განყოფილებად დავყოთ. პირველი—ცალწახნაგ მარტივთა განყოფილება, სადაც ემთავრებად შედიან შემდეგი ტიპები:

ა) სწორი საჭრისები, რომლებსაც მკრელი გვერდწახნაგი თავიდან მოსყვება (სურ. 5). ამგვარი საჭრისი ჩვენს კოლექციაში არის სულ სამი ცალი, ერთი—მცირე, მეორე საშუალო და ერთაც დიდი ზომის³⁾.

²⁾ Проф. В. А. Городнов. Техника и классификация кремневых резцов, стр. 15—44; ეს შომა დაბეჭდილია РАНИОН-ის გამოცემაში „Техника обработки камня и металла“, Москва 1930.

³⁾ მეორე საჭრისები ზომით 4 cm წველები, საშუალო საჭრისებს ზომა 4-6 cm აღწევს და დიდი ზომისა კი 6 cm -ზე მეტია.



ბ) ირიბი საქრისები, რომლებს შერეული გვერდწახნაგი თავიდან ბოლომდე არ მკვეცხა (სურ. 6) და ირიბად თავდება. ამნითი საქრისების რიცხვი სულ არის ექვსი, რომელთაგან ორი ცალი მკერც ზომისა, სამი საშუალო და ორიც დიდი ზომის.

გ) ხიწვიანი საქრისები, რომლებს შერეული გვერდწახნაგი ხიწვით თავდება (სურ. 7). ამათი რიცხვი სულ 18-ია. ამათგან 4 მკერც, 10 საშუალო და 4 დიდი ზომისა. ამავე ტიპს ექვსეულის აგრეთვე ჩამოღწეიშე საქრისი, რომლებიც ვარჯი იარაღის შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ.



სურ. 6 და 7 სწორი და ირიბი ცალწახნაგი გარდვიარდში თავდადამტყრული საქრისები (Stichel). 1/4

შეორე განყოფილებაში შედიან ცალწახნაგი, გარდვიარდში თავდადამტყრული. ამათი რიცხვი შემდეგია:

- ა) სწორი, მკერც ზომის 5 ცალი (სურ. 8).
- სწორი, საშუალო ზომის 3 ცალი.
- ბ) ირიბი, მკერც ზომის 2 ცალი (სურ. 9).
- ირიბი, საშუალო ზომის 2 ცალი.
- გ) ხიწვიანი, მკერც ზომის 8 ცალი (სურ. 10).
- ხიწვიანი, საშუალო ზომის 9 ცალი.



სურ. 10. ხიწვიანი ცალწახნაგი გარდვიარდში თავდადამტყრული საქრისი (Stichel). 1/4.

შესამე განყოფილებას უნდა შეეკუთვნოთ ცალწახნაგი, გარდვიარდში თავრეტყმინი საქრისები:

- ა) სწორი, მკერც ზომის, 1 ცალი (სურ. 11).



სურ. 11—14: 11 და 12 სწრაბი და ირბი ვარდგარდნი თავტეტელისა
საჭრისე (Stichel); 13 ირბი საჭრის ვარშეი რეტელისა (Kantenstichel);
14 ხეწელაი საჭრის ვარდგარდნი თავტეტელისა (Eckstichel); 15 და
16 საჭრისე ცაღუნახეღენი თავიონბეტელისა (Kantenstichel). $\frac{1}{4}$.

- ბ) არიბი, მცირე ზომის 2 ცალი (სურ. 12 და 13).
- გ) ხიწიანი „ „ 3 „ (სურ. 14).
- „ საშუალო „ 3 „

შეოთხე განყოფილებას შეადგენენ ცალწახნაგა, თავიბრტყეშისანი საჭრისებია:

- ა) სწორი, მცირე ზომის 1 ცალი
 - „ საშუალო „ 2 „ (სურ. 15).
- ბ) არიბი, მცირე ზომის 3 „ (სურ. 16).
- „ საშუალო „ 1 „
- გ) ხიწიანი, მცირე - 2 „
- „ საშუალო „ 2 „ (სურ. 17).

მეხუთე განყოფილებაში შედიან ისეთი საჭრისები, რომლებსაც ფრანგები ეძახიან „Bec de flute“ ანუ რუსული ტერმინოლოგიით „буравчатые-средние“. ეს ორწახნაგა „შეღა“ საჭრისები მხოლოდ ახალმა პალეოლითმა აღეს (სურ. 18). მათი რიცხვი ზენს კოლექციაში აღწევს 13 ცალს, რომელთაგან ერთი ცალი დიდი ზომისაა, ხოლო დანარჩენი კი საშუალონი.

მეექვსე განყოფილებაში აღსანიშნავია მრავალწახნაგოვანი საჭრისები. ამგვარი საჭრისები ახალი პალეოლითას დასაწყისშივე გვხვდება; მათი რიცხვი სხვა საჭრისებთან შედარებით არ არის დიდი. ზენს კოლექციაში მოიპოვება ნეკლევის მგვარი 4 ცალი (ხიწიანი, მცირე ზომის); ამავე განყოფილებაში უნდა მოეთავსოთ რკალისებური ფორმის მრავალწახნაგა 3 საჭრისი (სურ. 19).

მეშვიდე განყოფილება არის დებლირებული:

- ა) ხიწიანი, თავდაამტვრეული 5 ცალი (სურ. 20).
- ბ) ხიწიანი, ორივე თავზე რტყეშისანი 1 ცალი (სურ. 21).




სურ. 17. საჭრისი თავიბრტყეშისანი (Kantenstichel) 1/2.

70

მერვე განყოფილებაში შედის ორთაგან-ორწახნაგა „შელი“ საქრისი, რაცხეთი ოთხი ცალი (სურ. 22).

მეცხრე განყოფილებაში შედის შერეული ფორმება, ე. ა. ისეთი საქრისები, რომელთა შერეულ კუთხეებს სხვადასხვანაირი ვაფორმება აქვთ; მაგალითად, ზეენ მოვეუპოვება ისეთი საქრისი, რომლის ერთს




სურ. 18 და 19: 18 ორწახნაგოვანი „შელი“ საქრისი (Mittelstichel); 19 ჩაღბ-სებურა ფორმის საქრისი (Bogenstichel). '1.

მხარეზე „შელი“ (ორწახნაგა) საქრისის ფორმია მოცემული, ხოლო მეორეზე კა—ხიწვიანი (სურ. 23).

ვევლა ამ ზემოთნახსენებ ფორმების გარდა ვცხედება ისეთი საქრისებიც, რომლებიც საფხეკებთან ერთად ერთსა და იმავე იარაღში არიან მოცემული და, ამრიგად, ორმაგ იარაღს წარმოადგენენ (სურ. 24). კოლექციებში არ მოაპოვება სულთად და კოპწიად გამოყვანილი ფორმები.

მაგდლებრონის ტიპის მშვილდწვეტა. ეს მშვილდწვეტა ცნობილია ლიტერატურაში, როგორც Lames du type de Chatelperron ანუ Bogenspitzen vom Typus Chatelperron და არის განვითარებული Abri-Audi-Spitze-დან. ეს არის სვემენტის მაგვარი ლამელა, რომელსაც ერთს ნაპირზე კარგად გაკეთებული რეტეში მიუყვება და თა-



20


21

სურ. 20 და 21: 20 დებლაჩებული, ხეწიანი, ივერდამბრებული საჭიხის (Doppelstichel); 21 დებლაჩებული ხეწიანი საჭიხის ირთვე თავზე რეტეშიაში (Doppelstichel). 1/2.

ნაც ამ ნაპირს რეალისტური ფორმა აქვს მიცემული. მეორე ნაპირი კი არის დატოვებული ურეტეშიოდ და მასთან (სურ. 25), საფიქრებელია, რომ ეს იარაღი პეტრა დანის დანიშნულებას ასრულებდა; მას ვუას ვანზრახ უბლაგვებდენ, რომ კაცს ხელი კარგად მოეყოლა. ამგვარ ტიპის იარაღი წვენ აღმოვაჩინეთ 10 ცალი სხვადასხვა ზომის, მათი ზომები, ქორდაზე აღებული, 5,5 cm და 2,7 cm შუა თავყდებიან.



შატელპრონის ტიპის მშვილდწვეთა ზეწვნილება ორინიაციის ელტერის სულ უბედეს პერიოდში და ითვლება მის ერთერთ დამახასიათებელ ფორმად, რომლისაც ხელმძღვანელობენ არქეოლოგები. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს იარაღი ახალ პალეოლითის მიწურულშიაც გამოჩნდება ხოლმე და ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ როგორ მოეღწეხასთან გვაქვს საქმე, ვ. ი. ვაურკვეილია, საქმე გვაქვს იარაღის ხელახლა ვაკოცლებსთან, თუ ეს არის მხოლოდ ანალოგიური მოვლენა¹⁾.



სურ. 21. ორთხევანი, ორ-
წახევი „შვადი“ საჭრის
(Doppelmittelstichel). 1/2.

პატარა ზომის ხელნაჯახს.

ამავე ტიპს, დაახლოებით, გვეუყენს შერაც საფხეკა (სურ. 27), რომელსაც ფორმა უფრო ოვალური აქვს, ვიდრე ოთხეუთი, და თანაც ბევრად უკეთესად არის დამუშავებული, ვიდრე ზემოთ მახსენებული საფხეკე შესაძლოა. ამ საფხეკს ტარი ქონდა დაკებული, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი უფრო მომარჯვებულად მოხმარება.

აქვე აღსანიშნავია მოგრობო, ოვალური ფორმის საფხეკე (სურ. 28). ამ საფხეკს ნაწილი აკლია და მისი მთლიანი ფორმა იმნაირად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ამას № 28 სურათი გვჩვენებს. საფხეკს გარშემო რეტრეში აქვს ვა-

საფხეკა (Kratzer). დეისბერგელის კოლექციებში დიდი რაოდენობით ვხვდებით საფხეკები, რომლებიც ზეწვნილებითაა შევსებული სხვადასხვა გვერდებზე დაყუთი.

დავიწყეთ ოთხეუთი ფორმის საფხეკიდან (სურ. 26). ამ უკანასკნელს დამუშავების ტექნიკა უფრო ძველი დროისაა, ვიდრე ეს ახალ პალეოლითის შეპყვრის მაგალითად, მისი ორთხევი მხარე ტრანკად არის გათლილი და ერთ შეხედვებზე როგორც დამუშავების, ასე ფორმის მხარე, მოგვაგონებს დეგენერირებულ



სურ. 28. „შვადი“ საჭრის ფორმის საჭრის. 1/2.

¹⁾ შედარვ: M. Ebert, Reallexikon der Vorgeschichte. Berlin 1924. ტ. 1, 81. 276.



კოცებული და თანაც კონკრეტის კანი შერჩენილი. რეტენში ზემოდან დავერის (და არა წნევის) საშუალებით არის გამოყვანილი. ამგვარ იარაღს აქვთფენებენ ორინიკის კულტურის შუა საფეხურს (Mittleres oder Hochaurignacien Schmidt).

ამგვარ საფეხურებს უახლოვდება ისეთი საფეხურები, რომლებსაც შუა წელი ამოღრმავებული აქვთ და ბოლოები კი უფრო ფართო, ასე რომ სავსაოდ ქნანან ისეთი ფორმებს, რომლებიც ცუტად თუ ბევრად ენათესავენთან „enggehendschärftre Formen“-ებს ანუ „lames étanglées“ (სურ. 29 და 30). ამნაირი იარაღიდან ჩვენ უნდა მოვხსენიოთ შოლოდ ორი ცალი. ერთს მათგანს (სურ. 29) მთლიანად აქვს გაჩუმო რეტენში, მეორეს კი, უფრო მსხვირს, (სურ. 30) რეტენში აქვს შუა წელზე, უფრო ჩაღრმავებულ ადგილას.



სურ. 29. სპიხით და საფეხი ერთად შეკრებილი (Stichelkratzer). 1/2.

შვილდის ფორმის მავეარი საფეხურები (Die bogenförmigen Kratzer) ჩვენ ვაპოვეთ შოლოდ სამი ცალი, რომელთაგან ერთი ომსიდიანისაა.




სურ. 28. მადელპერის ტიპის მუჯღაწეობა (Bogenkratzer vom Typus Chatelperron). 1/2.

ერთს მათგანს (სურ. 31) იმნაირად აქვს გვერდი სამომტვრეული, რომ სპიხისადაც არის მისი გამოყენება შესაძლებელი.


ახალი პალეოლითის, სახელდობრ, ორინიკის კულტურის დამაბასიათებლად ჩვენ უნდა ჩავთვალოთ ისეთი საფეხურები, რომლებსაც უწოდებენ Kielkratzer-ს (grattoir caréné) (სურ. 32) და ამასთან დაკავშირებული მაღალი საფეხურები (konische Hoch-oder Nucleuskratzer) (სურ. 33 და 34).

სურ. 32; ისინი არ არიან ღამაზად დამუშავებული. ორს მათგანს


ნავისებური საფეხურები (Kielkratzer) დევსებულის კოლექციაში ჩვენ გამოვეყვით რვა ცალი, რომლებსაც აქვთ შერჩენილი კონკრეტის ან ლინზის კანი



կրճ. 26. կղզկոյն (Kratzer). 1/2.



կրճ. 27. կղզկոյն (Kratzer). 1/2.



Լճ. 25. Կլինգրաուեր քարեն կտրիչ (Klingenkratzer). 1/2.



Լճ. 26. Էնգեսնյուրտե կտրիչ («Eingeschnürte» Klinge). 1/2.


გარშემო აქვს გაკეთებული რეტეში. ერთიც ცეცხლში მოხვედრილი და ამის გამო მას შვედ დაუკარგავს პირვანდელი ფორმა და ფერი.

კონუსის ანუ ნუკლეუსის მაგვარი საფხეცები (konische Hoch- oder Nucleuskrazer) ჩვენ აღმოვაჩინეთ ობოლდა სამი ცალი. ეს



სურ. 30. ამოღებული საფხეც „Ausgekorbte Klinge“. $\frac{1}{2}$.

შეგახს, რომ ისინი იარაღად ამზარებოდნენ.




სურ. 31. შვედის ფორმის მაგვარი საფხეცა (Bogenförmiger Krazer). $\frac{1}{2}$.

როდესაც იარაღს სამუშაო პირი დაუბლაგვედებოდა და მოითხოვდა გადახალისებას, მაშინ მას ამტვრევდნენ პრეტულიად ქვემო ნაწილს და მით ამახვილებდნენ სამუშაო პირს (სურ. 35). ამგვარი ანამტვრევებიც არის აღმოჩენილი რვა ცალი. ეს ანამტვრევები ერთ

საფხეცები, როგორც ზომის, ისე საერთო მოყვანილობის მხრივ დიდ ვარიაციებს განიცდიან, ზვილაზე დიდს სიმაღლე 4,5 სმ აღწევს, ჯვრულზე პატარას სიმაღლე კი — 2 სმ-ს. ამნაირ საფხეცებს ზოგიერთი მკვლევარი რაბოს (Rahot) უწოდებს და ფიქრობს, რომ ამ იარაღებს შალაშინის მაგიერად ხმარობდნენ. მათს ქვემოწილს (სამუშაო პირს) ნათლად ეტყობა პატარაპატარა ავარდნილი ნაწილები, რაც მოწმობს იმ ვარე-



Նկ. 32. Կարկեղի կղզյա (Kikkratzer; grattoir caréné), 1/2.



Նկ. 33. Ուղղակի կղզյա (Hochkratzer), 1/2.


დროს განსაკუთრებული ფორმის და ცალკე ტიპის იარაღი ეგონათ, მაგრამ დღეს უკვე მათ აღარ აკლავებენ ცალკე იარაღის დანიშნულებას, თუმცა დასაშვებია, რომ ზოგი მათგანი შემთხვევით იყო გამოყენებული ცალკე იარაღად. ერთი სიტყვით, ზენ გვინდა ვთქვათ, რომ ეს ანიმტორეები სპეციალურ იარაღად არ არიან ნაკეთები,



სურ. 34. ნუკლეუს-საფრეები (Nucleuskraatzer). 1/1.

მათი ფორმა უფრო ოვალურია და იშვიათი მოყვანილობა აქვთ, როგორც ნუკლეუსის მაგვარ საფრეების ქვემო ნაწილს; გარშემო ნაპირას ნაწილობრივ შეტად კარგად ეტყობა პატარა-პატარა ივარდნილი ნაწილები, რაც ძალიან გეგონებს სავანგებოდ გაკეთებულ რეტუსს. ამ იარაღების ასეთი სიმრავლე უნდა იყოსნათ იმ გარემოებით, რომ ეს საფრეები უფრო იმპარებოდა სახლში, კერძოდ აბლოს ხის ან ძვლის დასამუშავებლად და შორს, გარეთ, არ გამჭონდათ და ამიტომ არ იკარგებოდენ. როგორც ეს მოსალოდნე-

ლა იყო, მაგალითად, შატელერონის ტიპის დანებისათვის და სხვა სახლის ვარეთ საბზარ იარაღისათვის.




სურ. 35. ნუკლუსის - საფხეზე ანმეტრევი (Absplass vom Nucleuskratzer). $\frac{1}{2}$.



სურ. 36. საფხევი (Kratzer). $\frac{1}{2}$.

სურ. 37. საფხევი (Kratzer). $\frac{1}{2}$.

საფხევიებიდან აღსანიშნავია აგრეთვე მოგრძო სამკუთხედი და მრგვალი ფორმის იარაღები (Klingenkratzer u. flache Rundkratzer). მოგრძო და სამკუთხედი საფხევიების „სამუშაო პირს“ უმეტეს ნაწი-



38



39



40



41



42

Էջ. 38—42. Կրատերի տարբեր տեսակներ (Kratzer von verschiedener Form). $\frac{1}{2}$.



